# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 2 ლარი

№157-158 (10160-10161) 2026 წლის 9 ნოემბერი, ორშაბათი

ილიაობა 2026




იხ. 8 გვ.

## სიმართლეს ვერავინ წაშლის!..

## აცალეთ, დაჭამონ ერთმანეთი!



## „ერის მამა“

**ჩვენი წარსული მდიდარია თვალსაჩინო საერო თუ სასულიერო მოღვაწეებით, თუმცა ილია ჭავჭავაძე იყო ერთადერთი, რომელსაც ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე, დამსახურებლად და დიდი სიყვარულით უწოდა „ერის მამა“,** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ყვარელში, ილიაობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე.

პრემიერის თქმით, ილია ჭავჭავაძემ ქვეყნისათვის ურთულეს ეპოქაში გააერთიანა ყველაფერი, რაც მაშინდელ საქართველოს სჭირდებოდა.

**„გილოცავთ ილიაობას, ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს. ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე გამორჩეულია ისტორიული სიმბოლიზმითა და მნიშვნელობით. ჩვენ შევიკრიბეთ მის მშობელ კუთხეში, რათა კიდევ ერთხელ მივაგოთ პატივი იმ გამორჩეულ მემკვიდრეობას, რომელმაც ქართველი ერის თვითშეგნება, სულიერი სიმტკიცე და მომავლის რწმენა განსაზღვრა.**

**ჭავჭავაძეზე ვსაუბრობთ, მუნებრივია, პირველ რიგში ვფიქრობთ იმ საწყისებზე, რაზეც თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა, კულტურა და ერის ერთობა დგას. ილიამ თითქმის შეუძლებელი შეძლო – ქვეყნისათვის ურთულეს, გარდამტეხ ეპოქაში მან გააერთიანა ყველაფერი, რაც მაშინდელ საქართველოს სჭირდებოდა – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, ბანკის დამფუძნებელი, ქართული თეატრის აღმშენებელი და რაც მთავარია, ერის წინამძღოლი. თანამედროვე საქართველოში არ მოიძებნება საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელიც მის ნააზრევს არ ეყრდნობა. ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობის მაგალითი მსოფლიო ისტორიაშიც კი იშვიათობაა – ეს არის საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენა, როდესაც ერთი ადამიანის ცხოვრებამ ერის განვითარების გზა განსაზღვრა.**

**მთავრობის მეთაურის თქმით, ილია ჭავჭავაძემ დატოვა ქართველთა უმთავრესი ანდერძი – „მამული, ენა, სარწმუნოება“, რაც არა მხოლოდ ქართული ეროვნული ცნობიერების საფუძველია, არამედ, მოქმედების გეგმა, რომელიც დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დროს.**

**მჯერა, ჩვენთვის და ყველა მომავალი თაობისათვის, წმინდა ილია მართლის ცხოვრება მუდამ დარჩება მაგალითად, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს საკუთარი სამშობლო და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ყოველდღიური შრომით იზრუნოს მის უკეთეს ხვალინდელ დღეზე“,** – განაცხადა პრემიერმა.

## ილიას დღე საგურამოში

**ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 189 წელი საგურამოში, მწერლის სახელმწიფო მუზეუმში აღნიშნეს.**

**ტრადიციულად, დააჯილდოვეს პრემია „საგურამოსა“ და ილიას მედლის 2026 წლის ლაურეატები.**

**ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ილიას მედალი „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“ – მერაბ კოკოჩაშვილს გადაეცა.**



## რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს?!



იხ. 4 გვ.

## „მოლედეთ“ – სამშობლოდან სამშობლოსკენ...



იხ. 6 გვ.

## მალხაზ აბდუშელიშვილი – ქართველთა ანთროპოლოგიის ფუძემდებელი



იხ. 4 გვ.


ტრამპის ხაფანგი– წავა თუ არა უკრაინა კაპიტულაციაზე? 10

კიევი შავბნელ ბიზნეს-ცენტრად გადაიქცა! 11

კორუფცია ნარკოტიკებით, იარაღით და ადამიანებით ვაჭრობა - არახამიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო



ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRES.GE



# ჩინეთთან სტრატეგიული მეგობრობა საქართველოს გაძლიერებას ნიშნავს!



**ირაკლი კობახიძე და ჩინეთის ვიცე-პრეზიდენტი ხან ჭენგი ორი ქვეყნის ბიზნეს-საზოგადოებების წარმომადგენლებს შეხვდნენ**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ხან ჭენგი საქართველოსა და ჩინეთის ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ოფიციალურ მიღებაზე, რომელიც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით გაიმართა, ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ ყოვლისმომცველ სტრატეგიულ პარტნიორობასა და სავაჭრო-ეკონომიკური პავშირების განვითარების პოზიტიურ დინამიკაზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩინეთის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის.





**„ჩვენ განსაკუთრებულზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების განვითარებას. მოხარული ვართ, რომ განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან მზარდია ეკონომიკური თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, რაც ასახულია კონკრეტულ მონაცემებში. ძალიან სწრაფად იზრდება ვაჭრობა და იზრდება ინვესტიციები ჩინეთიდან საქართველოში. ჩვენ მომავალშიც შევქმნით ყველა პირობას იმისათვის, რომ ჩინურმა ბიზნესმა მაქსიმალურად წარმატებულად იმუშაოს ჩვენს ქვეყანაში. მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორობა ორ ქვეყანას შორის. მოხარული ვართ, რომ გვაქვს ძალიან მჭიდრო პოლიტიკური პარტნიორობა. ჩვენ რამდენიმე წლის წინ ხელი მოვაწერეთ სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას და სულ ცოტა ხნის წინ – ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას. ყველა ის შედეგი, რომლებზეც ვსაუბრობთ, ამ პოლიტიკური თანამშრომლობის კონკრეტული გამოხატულებაა. თუმცა ჩვენ არ გვინდა გავჩერდეთ დღემდე მიღწეულზე. ჩვენ გვინდა, კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ ჩვენს ქვეყნებს შორის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა, მეგობრობა ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის და, რა თქმა უნდა, ბატონი ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად განვითარებას“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ**.

ჩინეთსა და საქართველოს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ხან ჭენგმა და სავაჭრო ურთიერთობების ზრდის მასშტაბზე ისაუბრა.

**„ჩინეთი და საქართველო უძველესი ისტორიისა და ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოები არიან. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება, ხოლო სხვადასხვა სფეროში პრაქტიკულმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. მიმდინარე წლის ივნისში ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა ერთობლივად გამოაცხადეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის დონემდე აყვანის შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებისთვის ახალი პერსპექტივები გახსნა. მე მქონდა შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან. ეს შეხვედრები იყო უაღრესად გულწრფელი, მეგობრული და შედეგიანი. საქართველოს ხელმძღვანელობისა და საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლების ენთუზიაზმმა ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარების მიმართ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მნიშვნელოვანი სტიმული მოგვცა.**

**დღეს, როდესაც გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგი ღრმა და კომპლექსურ ცვლილებებს განიცდის, ქვეყნების განვითარებისა და საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის წინაშე არსებული გამოწვევები სულ უფრო იზრდება. ამ ვითარებაში თანამშრომლობის გაძლიერება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ამავდროულად მეტ შორსმჭვრეტელობას მოითხოვს. ბოლო წლებში ჩინეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბი სტაბილურად იზრდება, ხოლო საინვესტიციო თანამშრომლობის სფეროები მუდმივად ფართოვდება. მაღალი ხარისხის ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სულ უფრო აქტიურად შედის ჩინეთის ბაზარზე. ასევე ჩინური წარმოების პროდუქცია, განსაკუთრებით განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ავტომობილები, საქართველოს მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში. მიმდინარე წლის აპრილში ჩვენმა ქვეყნებმა ოფიციალურად მოაწერეს ხელი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განახლების შესახებ ოქმს. ამით ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა.**

**ჩვენ მზად ვართ, შევიძინოთ კიდევ უფრო მეტი მაღალი ხარისხის ქართული პროდუქცია და ხელი შევუწყოთ ვაჭრობის ოპტიმიზაციასა და განვითარებას. ჩვენ მხარს დავუჭერთ ძლიერ და კონკურენტუნარიან ჩინურ კომპანიებს, რათა მათ თანმიმდევრულად განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში და გააფართოონ ადგილობრივ ბაზარზე საქმიანობა. ჩვენ უნდა შევქმნათ ხელსაყრელი გარემო ორი ქვეყნის კომპანიებს შორის თანამშრომლობისთვის. იმედი მაქვს, ჩინეთისა და საქართველოს ბიზნესსაზოგადოებების წარმომადგენლები მომავალშიც აქტიურად შეასრულებენ დამაკავშირებელი ხიდისა და მეგობრობის განმტკიცების ფუნქციას“**, – განაცხადა **ხან ჭენგმა**.

საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების დინამიკაზე ისაუბრა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **მარიამ ქვრივიშვილმა.** ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა **გიორგი პერტაიამ** გახსნა, ასევე სიტყვით გამოვიდა ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს თავმჯდომარე **ჟენ ხუნგპინი.** ოფიციალურ მიღებას საქართველოსა და ჩინეთის ბიზნესწრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

# საქართველოს პირველი ლედი რომის პაპს ლეონ XIV-ს შეხვდა



**საქართველოს პირველი ლედი თამარ გაგრატიონი ვატიკანში რომის პაპს ლეონ XIV-ს შეხვდა, პრეზიდენტისა და ქართველი ხალხის პატივისცემა დაუდასტურა და დღეგრძელობა უსურვა.**

შეხვედრა წმინდა საყდართან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის **დავით მექვაბიშვილის** ორგანიზებითა და ხელშეწყობით ჩატარდა.


**პირველმა ლედიმ რომის პაპს სამახსოვრო საჩუქარი – ფოკის წმინდა ნინოს დედათა მონასტერში დამზადებული, ხელით მოხატული კერამიკული ნამუშევარი გადასცა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში თამარ ლილუაშვილი.**

# ერევანში ორი ქვეყნის საზღვრის საკითხებზე სამთავრობო კომისიების შეხვედრა გაიმართა

**6 ნოემბერს სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის კომისიის შეხვედრა,** – აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, შეხვედრას თანათავმჯდომარეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ლაშა დარსალია** და სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ვაჰან კოსტანიანი.**

**„მხარეებმა დადებითად შეაფასეს კომისიების მუშაობის რამდენიმე წლის შემდეგ განახლება და ხაზი გაუსვეს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესის მნიშვნელობას საქართველოსა და სომხეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის. მხარეებმა გამოხატეს საერთო ინტერესი, პროცესი დაასრულონ დიალოგითა და კონსტრუქციული სულისკვეთებით. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ასევე გაცვალეს მოსაზრებები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეთანხმებული ოქმებისა და მომავალში შესაძლო დამატებითი ნაბიჯების შესახებ, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროცესის ეფექტიანად წარმართვას“**, – აღნიშნულია ინფორმაციაში.



# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:**

**1. ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია –** აკადემიკოს ელიზბარ ნადარაიას და მათემატიკის აკადემიურ დოქტორ პეტრე გაბილუას ნაშრომთა ციკლისათვის – **„დაკვირვებათა განაწილების კანონის ფუნქციონალური მახასიათებლების (განაწილების სიმკვრივის, რეგრესიის ფუნქციის) არაპარამეტრულ შეფასებათა თეორიის ზოგიერთი ამოცანა“;**

**2. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია** – გეოლოგიის აკადემიურ დოქტორ კახაბერ ქოიავას ნაშრომთა ციკლისათვის – **„კავკასიონის ტექტონიკური აგებულება და გეოდინამიკური ევოლუცია“;**

**3. კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია** – მშენებლობის ინჟინერიის დოქტორ თამაზ ხმელიძესა და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ გელა ყიფიანს მონოგრაფიისათვის – **„კომპოზიტური კონსტრუქციები“;**

**4. იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემია** – მთავარ მეცნიერ თანამშრომელს მალხაზ გეთიას და უფროს მეცნიერ-თანამშრომელს ვახტანგ მშვილდაძეს ნაშრომთა ციკლისათვის – **„ტერპენული ბუნების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფარმაკოქიმიური შესწავლა და შეფასება“;**

**5. ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია** – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორ ელისო ყვავაძეს, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორებს: ინგა მარტყოფლიშვილს და მაია ჭიჭინაძეს ნაშრომთა ციკლისათვის – **„უძველესი ადამიანის საქმიანობა და გარემო პირობები – საქართველოს ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლების პალინოლოგიური მონაცემები“;**

**6. ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის პრემია** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ლიანა კიკალიშვილს შრომათა ციკლისათვის – **„ღვიძლისა და სანაღვლე გზების მორფოლოგიური თავისებურებების ექსპერიმენტული შესწავლა ნორმასა და პათოლოგიაში“;**

**7. ლეონიდე დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია** – სოფლის მეურნიერების მეცნიერებათა დოქტორ ცოტნე სამადაშვილს ნაშრომისათვის – **„ტრიტიკალეს სელექცია საქართველოში და მისი გამოყენების პერსპექტივები“;**

**8. გიორგი ნიორაძის სახელობის პრემია – ისტორიის** აკადემიურ დოქტორ გიორგი ნიორაძეს ნაშრომისათვის – **„აღრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელი დმანისში და მისი ქვის ინდუსტრია“;**

**9. ვარლამ თოფურიას სახელობის პრემია –** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ მერაბ ბერიძეს მონოგრაფიისათვის **– „მესხეთის ტოპონიმია“** (ორტომეული).

# 95 წლის მწერლის ღია ბარათი

## მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შიო მე-III-ს!



**გამარჯობათ, თქვენო უწმინდესობავ!**

**აბსოლუტურად გაუსაძლისი ვითარება რომ არა, ვერ გავბედავდი თქვენს შეწუხებას.**

**მე გახლავართ მწერალი და ჟურნალისტი გიზო ზარნაძე.**

**ჯოჯოხეთური რამ ყოფილა საკუთარ თავზე დოსიეს წერა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას გავიმარჯვე ლიტერატურულ კონკურსში (1965 წ.) გამომცემლობა „ნაკადულმა“, რომ გამოაცხადა. ერთი წლის შემდეგ, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოვაქვეყნე რეპლიკა – „საშვი“ თუ „საშვები“?! რატომღაც არ მომწონდა ტერმინი „საშვი“, და მართლაც, აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ განმიმარტა, რომ „საშვი“ არის არა ის, რასაც რუსულად „პროპუსკ“-ს ვეძახით, არამედ – ელასტიური მილი, საიდანაც ხდება განაყოფიერება, ხოლო, შვიდი-ცხრა თვის შემდეგ, იმავე გზით – ბავშვის შობა; დაუკვირდით „საშვის“ ეტიმოლოგთა რიგს: შობა, შვა, იშვა, ბავშვი, „ქრისტე იშვა ბეთლემსაო“ და ა.შ.**



მწერალი გიზო ზარნაძე შვილთან – არჩილთან ერთად

**ამიტომ მიმართვა – „ქალბატონო, მაჩვენეთ საშვი“, ფრიად საჩოთირო გამოთქმაა თავისი ასოციაციური გაგრძელებებით!**

**სამოცდაათიან წლებში, საპატრიარქოს გამოცემა „მაძღლში“ გამოვაქვეყნე რეპლიკა – „მამაო“ თუ „მოძღვარი“? რომელშიც სამზეოზე გამოვიტანე კომუნისტებისდროინდელი, ღვთისმსახურთა გამაქილიკებელი „ნოვაცია“ – „აგერ, თხაწვერა მამაოც გამოჩნდა!“**

**ახლაც მეუხერხულება ჩვენს მართლმადიდებელ ერს ავუხსნა – თუ რაოდენი სიმეცეა, ვთქვათ, „მამა დავითის“ ან, „მამა მიქაელის“ ნაცვლად, „მამაო დავითის“ ან, „მამაო მიქაელის“ საუბარში გამოყენება! სად, როდის, ან რომელი ღვთისმსახურისგან გსმენიათ, – აგერ „მამაოც მოდის“?! ახლა კიდევ „დედაოც“ გამოჩორკნეს, ვთქვათ, „დედა თამარის“ ნაცვლად, – „დედაო თამარი“?!**

**იმხანად ტელევიზიაში მიმიწვიეს (არ ვკუდაბზიკობ, ნამდვილად ასე გახლდათ) ლიტერატურული პროგრამების განყოფილებაში სამუშაოდ. მუდამ გულისფანცქალით ვკითხულობდი პრესას და ვუსმენდი ტელე-რადიოგადაცემებს, – იქნებ, ახლა მაინც ეშველოს საქმეს-მეთქი! შენც არ მომიკვდე! ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა (შიგადაშიგ კი, ჰოი საკვირველებავ, აქა-იქ, ღვთისმსახურიც) სცოდავს, და თავისას ერეკება, – „მამაო გამოჩნდა“!**

**უშეცდომო მხოლოდ ღმერთია! ერთხელ ქართული ენის გამოჩენილ მცოდნეს, საუკუნესმიღწეულ, აკადემიკოს ბატონ აკაკი შანიძესაც წამოსცდა ასეთი რამ: ჩვენ არასწორად გვაქვს ნათარგმნი რუსული „ТГУ“ („სახუნტ“) ანუ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სინამდვილეში უნდა იყოს, – „თბილისის სახელმწიფოებრივი უნივერსიტეტი“!**

**გავვოცდი და რეპლიკით გამოვეხმაურე იმ დროისათვის ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთ „თბილისში“: კი, მაგრამ, „სახცირკს“ რა ვუყოთ-მეთქი?! „სახელმწიფოებრივი ცირკი“ ან „ცირკული სახელმწიფო“?!.**

**ველოდი პასუხს, მაგრამ ამაოდ; გუნებრივია, დიდი მეცნიერი შეცდომას მიხვდა და არ ისურვა მისი ტირაჟირება!**

**ინგლისურიდან შემოჩეჩებული, მოდური ტერმინი „მექგრაუნდი“ რომ გამოვიყენოთ, დოსიე მთავრდება! მხოლოდ ერთ ამბავს დავამატებ: თუ უფალმაც ინება, რამდენიმე თვეში 95 წლის გავხდები. მწერალთა კავშირის წევრი ვარ 1982 წლიდან. გამოცემული მაქვს 14 წიგნი. ვარ რამდენიმე ლიტერატურული (მათ შორის, გალაკტიონის სახელობის) პრემიის ლაურეატი. წელიწადზე მეტია, ოსტროვსკივით ვარ ლოგინს მიჯაჭვული ხერხემლის გამრუდების ნიადაგზე. მივლიან პროფესიონალი ექთნები, რაც საკმაოდ ძვირი მიჯდება (დღეში 120 ლარი).**

**რასაკვირველია, ფულად დახმარებას ეკლესიიდან არ ვითხოვ, მაგრამ, იქნებ, თქვენს მრევლში აღმოჩნდეს ვინმე, რომელსაც აღმოაჩნდება შემწეობის სურვილი; რათა დავასრულო ბოლო წიგნი – „მე მჯერა სასწაულების“, რომლის რამდენიმე თავი გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ცნობილი მწერლების მოწონება დაიმსახურა!**

**P.S. თქვენო უწმინდესობავ, ჩემი მხრივ, უტაქტობა თუ არა, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ ნებისმიერი საზოგადოება ეფუძნება ორ პოსტულატს: ცივილიზაციასა და კულტურას. რომ ცივილიზაცია იღვწის საზოგადოების კეთილდღეობაზე, ხოლო კულტურა – („კულტ“-ი!) სულიერების რელიგიური რწმენით აღჭურვაზე! („სინერგია“!), უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ცივილიზაცია ცდილობს, რომ ადამიანმა ეკონომიკური ცხოვრება გაიუმჯობესოს, ხოლო კულტურა – ადამიანი, რომ ადამიანად დარჩეს!**

**ერთი სიტყვით, ნებისმიერი სახელმწიფო ძლიერი და სუვერენული იქნება, როდესაც ამ ორ პოსტულატს შორის კონფლიქტი არ იარსებებს.**

**როგორი ვითარებაა ამ მხრივ დღევანდელ ჩვენს სამშობლოში, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, თუმცა, უფალმა ამის საჩვენებლად „საერთო-სახალხო პლებისციტი“ ჩავვიტარა ჩვენი უსაყვარლესი, უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის, ილია მეორის დაკრძალვის დღეს – რა რაოდენობის ხალხი აწყდებოდა აქეთ-იქით, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო განსვენებული პატრიარქისათვის!**

**ეს გახლდათ აბსოლუტური რეკორდი, რომლის მოხსნასაც, დღევანდელ საქართველოში, თავისი გარდაცვალებით, სავარაუდოდ, ვერავინ შეძლებს.**

**თქვენო უწმინდესობავ, გულწრფელად გთხოვთ, ნუ ჩამითვლით ამას იაფფასიან ქათინაურად! – თქვენ ისეთი შესანატრი გარეგნობა გაქვთ და ისეთი ომახიანი ხმა მოგდევთ, უთუოდ გამყოფებთ უფალი მთელ საუკუნეს!**

**ამინ!**

მრწამს ღმრთისა,

**გიზო ზარნაძე**

(ტელ.: 599 53 82 74)



# რა საჭიროა გზა, რომელიც ჭაობთან არ მიგვიყვანს?!

ისტორიული ცნობა: პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, სოციალური ფენის ინტერესებს და მიზნად ისახავს ამ ინტერესების რეალიზაციას სახელმწიფო მმართველობის დაუფლების ან მასში მონაწილეობის გზით. პირველ პოლიტიკურ ჩანასახებს ჯერ კიდევ მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებში ვხვდებით. ჯგუფად გაერთიანებული სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ხელისუფლებისათვის ან მასზე ზეგავლენისთვის იბრძოდნენ. ასეთი დაჯგუფებების ტიპური წარმომადგენლები – ვიგები და ტორები ინგლისში XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდნენ. პირველ პარტიად სწორედ აძ, 1877 წელს შექმნილი ლიბერალური პარტია ითვლება.

პარტიების კლასიფიკაციის საფუძვლად სხვადასხვა კრიტერიუმებია მიღებული: სოციალური, იდეოლოგიური, ორგანიზაციის პრინციპი და სხვა. სოციალური პარტიები სხვადასხვა კლასის (მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ბურჟუაზია და სხვ.) ინტერესებს გამოხატავენ; იდეოლოგიური ანუ მსოფლმხედველობითი ნიშნის მიხედვით შექმნილი პარტიები თავის მუშაობაში იდეოლოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობენ; ორგანიზაციის ნიშნით შექმნილ პარტიებად ითვლებიან საკადრო ან ისეთი პარტიები, სადაც არ არის ოფიციალური წევრობის ინსტიტუტი და წევრობა მხოლოდ მისი კანდიდატისთვის ხმის მიცემით განისაზღვრება. პარტიები ერთმანეთისაგან სახელმწიფოებრივ ხელისუფლებაში დაკავებული ადგილითაც განსხვავდებიან: ლეგალური, არალეგალური, მმართველი, ოპოზიციური, მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტული. პარტიების ერთობლიობა კი ქმნის პარტიულ სისტემას.

პარტია, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში. პოლიტიკური პარტიები საქართველოში – საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

**21 ოქტომბერს დიდი პოლიტიკური შოუ დაიწყო საქართველოში – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 5 პარტიის აკრძალვის პროცესი. საზოგადოება ინტერესით ელოდა ამ სასამართლოს. რა შეიძლება ითქვას განვლილ ორ კვირაზე, რამდენად გამართლდა ხალხის მოლოდინი? ჯერჯერობით ყველაფერი მიმდინარეობს ისე, როგორც ველოდით. პარტიები გამოდიან უგრძესი სიტყვებით – ფაქტობრივად, პოლიტიკური განცხადებებით და არა ნაყენებული გრალდებებისგან თავის მართლებით. გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება!**

29 ოქტომბერს „კოალიცია ცვლილებისთვის“ ლიდერმა **ნიკა გვარამიამ** საკონსტიტუციო სასამართლოში განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი სტანდარტებით აკრძალვას თავად მმართველი პარტია ექვემდებარება. ის კიდევ უფრო შორს წავიდა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება სცადა, რომელიც უფრო შანტაჟს ჰგავდა.

**გვარამიამ** თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს დაუთმო, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოებს ავალდებულებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ზომა მიიღონ ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

მისი თქმით, ეს ვალდებულება საკონსტიტუციო სასამართლოზეც ვრცელდება და პარტიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ ქვეყნის ევროპულ პერსპექტივაზე შესაძლო გავლენაც უნდა გაითვალისწინოს. **„ამ ფონზე პარტიების აკრძალვა იზოლირებული სამართლებრივი ნაბიჯი არ არის და ვერც იქნება!“** – დაასკვნა ბოლოს, სარჩელის დაკმაყოფილება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივას დააზიანებსო.

პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აღმასრულებელი მდივანი **გერდია სიჯნავა: „პოლიტიკური პარტიების აკრძალვა ის სახრჩობელაა, რომელზეც „ოცნება“ თავად ავიდა,**



**თავად გაყო ამ ყულფში თავი და მისი პოლიტიკური სხეულიც ზედ ჩამოეკიდება, თუ კი ამ სიგიჟეს რეალობად აქცევს“.**

„ლელო-ძლიერი საქართველოსთვის“ ლიდერის ბადრი ჯაფარიძის განცხადებით, ოპოზიციური პარტიების აკრძალვით „ქართული ოცნება“ ნიადაგს ამზადებს კონსტიტუციური გადატრიალებისთვის: **„დღეს „ქართული ოცნება“ თავისი სარჩელით ცდილობს, აკრძალოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და არა რამდენიმე პოლიტიკური პარტია. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ პარტიების აკრძალვით „ქართული ოცნება“ ამზადებს ნიადაგს კონსტიტუციური გადატრიალებისთვის“.**

მისი შეფასებით, მმართველი პარტიის მიზანია, არჩევნებს ჩამოაშოროს მილიონზე მეტი ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი, მოიპოვოს საკონსტიტუციო უმრავლესობა და კონსტიტუციის დონეზე განიმტკიცოს ხელისუფლება. მილიონზე მეტი ამომრჩეველი არჩევანის გარეშე დატოვოსო! ეს აზრი აქამდეც არაერთხელ მოგვისმენია რადიკალი ლიდერებისგან, პარტიების აკრძალვით „ოცნება“ მათ ამომრჩევლებსაც კრძალავსო!

კი ბატონო, ლოგიკური მსჯელობაც რომ იყოს, განა 2024 წლის არჩევნების შემდეგ გარიერგადალახულმა პარტიებმა თავად არ დატოვეს თამაშგარე მდგომარეობაში საკუთარი ამომრჩევლები? და ეს კითხვაც ასევე ლოგიკურად ისმის: თუკი პარტიები მონაწილეობას არ მიიღებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საპარლამენტო ცხოვრებაში, რისთვისღა არიან საჭირო? ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის გზაზე შემდგართ აღარ ჰქვიათ ოპოზიციური პარტიები. მათი სახელი მეამბოხეა და სწორედაც რომ განიარაღებაა საჭირო!

**გიორგი გახარია** სოციალურ ქსელში წერს: **„ქართული ოცნების“ მიერ ოპოზიციური პარტიების აკრძალვის მიზანი პოლიტიკური ველის გაწმენდა და საკუთარი შეხედულებისამებრ შერჩეული, „მოსახერხებელი ოპოზიციის“ შექმნაა. საქართველოში უკვე ვხედავთ ახალი პარტიების შექმნის ნიშნებს. ეს ადამიანები ან ვერ აცნობიერებენ, რომ მათთვის წინასწარ განსაზღვრულ როლს ასრულებენ, ან შეგნებულად შედიან გარიგებაში პრორუსულ რეჟიმთან“.**

იქნებ ჩვენთვისაც გაგენდოთ, ბატონო გიორგი, კონკრეტულად ვის გულისხმობთ, ბოლომდე გაგემხილათ სათქმელი.

ამაზე პასუხს ვპოულობთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი კობახიძის** განმარტებაში:

**„ოპოზიცია შეიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელს დააკმაყოფილებს. დღეს საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს. ამ პოლიტიკურ პარტიებს კი მოვიხსენიებთ ხან ოპოზიციად და ხან რადიკალურ ოპოზიციად, თუმცა, სინამდვილეში მთავარი ფაქტი ის არის, რომ საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს. საქართველოში არის უცხოური აგენტურა. „საქართველო აგენტურის გარეშე“ – არის ჩვენი სლოგანი. ჩვენ ვაუქმებთ უცხოურ აგენტურას ქართულ პოლიტიკაში. არ შეიძლება, ჩვენს დემოკრატიულ სისტემაში, ქართულ პოლიტიკაში უცხოური აგენტურის ადგილი იყოს.**

**საქართველოში უნდა არსებობდეს პარტიები, შეიძლება ეს იყოს მმართველი პარტია, ოპოზიციური პარტია, რომელიც ემსახურება საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. ეს არის არაკონსტიტუციური ხუთიანი, რომელიც სინამდვილეში ერთი პარტიაა და ამ პარტიას ჰქვია უცხოური აგენტურა“.**


ყველაფერი გამოკვეთილია, ყველაფერი ნათელია. ამიტომ არის ხუთეულის გამოსვლები ასეთი გესლიანი და „ზღვასავით ვრცელი“. ღმერთმა მისცეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯომარეს **რევაზ ნადარაიას** მოთმინება. ამ ორი კვირის მანძილზე მხოლოდ ერთხელ უღალატა ნერვებმა და სხდომიდან გააძევა ხატია დეკანოიძე, რომელმაც ჩვეულებისამებრ ვერ მოზომა და **„ენას მისცა გასაქანი“...**

კიდევ ერთი მომენტი სასამართლო პროცესიდან. ნიკა გვარამიამ ცინიკურად განაცხადა, რომ ნანობს მისი ხელისუფლების ქმედებას, რომელიც თითქოს ბიძინა ივანიშვილს ბიუჯეტში გადასახადებს არ ახდევინებდა, ხოლო შემდეგ ბიუჯეტის ფულით ხელისუფლებაში მოვიდა. გვარამიამ ასევე სცადა ჩრდილი მიეყენებინა ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის.

დრო იხელთა და კიდევ უფრო შორს წავიდა **მიხეილ სააკაშვილი: „აბსოლუტური სიცრუეა, თითქოს ივანიშვილი ჩემს დროს ხელფასს უხდიდა პოლიციელებს, ჯარისკაცებს, მთავრობას და პარლამენტის წევრებს. ერთადერთი, რაც ძალით ავაშენებინეთ, იყო საჩხერის სამხედრო ნაწილის შენობა, რომელიც შეუდარებლად პატარა იყო და ამაზე სულ წუწუნებდა. უფრო მეტსაც გეტყვით, ჩემთან ერთ-ერთი შეხვედრისას ისიც კი მითხრა, რად გინდათ ამხელა ხელფასი პატრულისთვის, ისიც საკმარისია, რომ მოწმობა და იარაღი მიეცით და დანარჩენს თვითონაც იშოვიანო. ტიპური რუსი ოლიგარქის ლოგიკაა და მაშინ ამაზე დავცინე“.**

ერთი სიტყვით, **ბიძინა ივანიშვილი** რიგითი ქველმოქმედიც კი არ ყოფილა. მაშ, ნეტავ ვინ ააშენა სამების დიდებული ტაძარი?! და არა მარტო ის! ცხადია, ოპოზიციის ამ ცინიზმს მრავალნი გამოეხმაურნენ. პარლამენტარ არჩილ გორდულაძის თქმით, სადღეისოდ ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოში განხორციელებული ქველმოქმედება ცდება 2.5 მილიარდ დოლარს. პარლამენტარი ირაკლი ზარქუა გაოცებას ვერ მალავს: ნიკა გვარამიას არაკეთილსინდისიერება იმდენად შორს მიდის, რომ ის მისი მასშტაბური ქველმოქმედების დისკრედიტაციასაც კი ცდილობს... ბიძინა ივანიშვილის პირადი შემოსავლის 80%-ზე მეტი კვლავ ეროვნულ და საზოგადოებრივ საქმეს ხმარდებაო.

დიახ, მმართველი პარტია ითხოვს ხუთი ოპოზიციური პარტიის აკრძალვას მათი ანტიკონტიტუციური საქმიანობის გამო. მაგრამ, გავიხსენოთ, რომ დასავლეთიდან დაღერებულ ყველა კრიტიკულ რე-




# ცრემლებით დაწერილი სტრიქონები...

ზოლუციას, „მეგობარ“ და არამეგობარ აქტს სწორედ ჩვენი რადიკალური ლიდერების დაბეზღებები, ტყუილები უდევს საფუძვლად. ფეხქვეშ ამოიდეს ვაშინგტონ-ბრიუსელ-ლონდონი... ყელგამოწეულით ეხვეწებოდნენ პატრონ-პარტნიორებს სანქციების დაწესებას და დისკრედიტაციას ვინ ჩივის, შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, სიამოვნებით შემოუძღვებოდნენ უცხოურ ლაშქარს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დასამხობად, ეჭვი არ მეპარება, მათ მხარდამჭერებსაც ზედ მიაყოლებდნენ. თუ არა საქართველოს დიკრედიტაცია, სხვას რას აკეთებდნენ უცხოეთში ვიზიტებისას ნაპრეზიდენტალი **სალომე ზურაბიშვილი,** ნაცების ნათავმჯომარალი **თინა ბოკუჩავა, სალომე სამადაშვილი, ხატია დეკანოიძე, ნიკა გვარამია, გრიგოლ გეგელია, შალვა ნათელაშვილი...** ყველას ვერ ჩამოთვლი, სია გრძელია!

* * *

ამ დღეებში გავრცელდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილი გენერალური მდივნის **ნიკოლაი გორდიუშას** განცხადება:

**„ქართველებს არ სურთ დასავლეთის სადარბაზნე ხორცად იქცნენ, სწორედ ამიტომ თქვეს უარი რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე. ქართველები ძალიან მებრძენი ხალხია და კარგად ესმოდათ, სად მიჰყავდათ და როგორ იყენებდნენ. უკრაინამ ვერ გაიგო, მაგრამ ქართველებმა გაიგეს. სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყებისას მათ მეორე ფრონტი შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვეს. მიხვდნენ, რომ საზარბაზნე ხორცად მათი გამოყენებაც სურდათ და ძალიან გონივრულად თქვეს ამაზე უარი... ევროპა ათასობით კილომეტრითაა დაშორებული. სურს თუ არა ევროკავშირს საქართველოს თავის შემადგენლობაში მიღება? სერიოზულად მეეჭვება. ამაზე თამაში, დაპირებების მიცემა შესაძლებელია, რასაც აკეთებენ კიდეც. ევროპას საერთოდ არ სჭირდება საქართველო ევროკავშირში და, მით უმეტეს, უკრაინა.“**

სექტემბერში უკრაინის პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** სანქციები დააწესა თავისი ყოფილი პრესმდივნის იულია მენდელის წინააღმდეგ. 3 ნოემბერს კი უკრაინის უშიშროების სამსახურმა და ქვეყნის გენერალური პროკურორის ოფისმა სახელმწიფო ღალატის შესახებ ეჭვი წაუყენეს ბრალდებად იულია მენდელს. უშიშროების სამსახური აღნიშნავს, რომ მენდელი **„ეწევა საინფორმაციო-დივერსიულ საქმიანობას უკრაინის წინააღმდეგ“.** იმ მასალების რიცხვში, რომლებსაც ეფუძნება ეჭვი, შევიდა მისი საჯარო გამონათქვამები უცხოურ მედიასა და სოციალურ ქსელებში: **„კომპლექსური ღონისძიებებისა და შესაბამისი ექსპერტიზის შედეგად დადგენილია, რომ თავის საჯარო გამონათქვამებსა და სოცქსელებში გამოქვეყნებულ შეტყობინებებში მენდელი ახდენს უკრაინის დისკრედიტაციას საერთაშორისო ასპარეზზე“.** მაგალითად კი მოყვანილია ინტერვიუ ამერიკელ ჟურნალისტთან ტაკერ კარლსონთან, რომელშიც მენდელი ამბობს, რომ **„უკრაინაში არ არსებობს დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება“.**

ქვეყანაში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება არ არისო, ამის თქმას ედავებიან მენდელს... ჩართეთ ქართული ოპოზიციური არხების უმრავლესობა – პირდაპირ ლანძღვა-გინება ისმის ხელისუფლებისა. ეს უკანასკნელი იქამდე მივიდნენ, რომ კანონით აიკრძალა დედის გინების და უწმაწური სიტყვების ხმარება არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ნებისმიერი პიროვნების მიმართ. სასჯელიც დაწესდა! სასაცილოა, ცინიზმია ოპოზიციის წუწუნი და ვაი-ვიში, საქართველოში დემოკრატია არ არისო. დიახ, მათ რომ სურთ, ის დემოკრატია ნამდვილად არ არის – ხელისუფლება წინააღმდეგია ევროკავშირიდან წამოსული (თუ ადგილზე ამოჯეჯილებული) მოთხოვნისა, რომ მოსამართლეთა ნაწილი დასავლეთმა დაგვინიშნოს!

**ევროპომისარმა მარტა კოსმა ამ დღეებში კიდევ ერთხელ გაიმეორა მოსაზრება, რომ ძირითადი ოპოზიციური პარტიების აპრძალვის მიმდინარე მცდელობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოში დემოკრატიის საფუძვლებს. იქნებ საკუთარ დემოკრატიას მიხედონ, მთელი ევროპა საპროტესტო გამოსვლებმა რომ მოიცვა?**



**მაშ, რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს?!.**

ალეკო ასლანიშვილი

**რაღაც საკვირველი ხდება... ამ უცნაურ მოვლენებზე რეაქცია როგორ არ მქონდეს! მსოფლიო აყირავდა-მეთქი – მთლად ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ ევროპა რომ გადაირია, ამას ხომ ყველა ვხედავთ. არ არსებობს ქვეყანა ისეთი, სადმე რაღაც არ მოხდეს. დემონსტრაციები, გამოსვლები, განხეთქილებები და სხვა მოვლენები, მაგრამ მთელი ევროპის კონტინენტი ასე ერთიანად და ერთბაშად აჰანყეგებულ დემონსტრანტებს მოეცვათ, ასეთი, ალბათ მე კი არა, არა მგონია ვინმეს ენახოს. არც ისტორიას შემოუნახავს მსგავსი სურათები! ლამის სულ დაამსხვრიეს და დაანგრიეს დემონსტრანტებმა საკუთარი, საამაყო ისტორიული ქალაქები!**

**და, რა ხდება?!**

კანონზომიერიაო, ამბობს ზოგიერთი პოლიტოლოგი. დაბერდა, ევროპა კი არა, წყობილება, პოლიტიკური სისტემაო და სხვა...

მე ჩემს სამშობლოზე ვფიქრობ, ევროპის ასე ერთბაშად აფეთქება, არ არის კარგი ამბავი არავისთვის და არც ჩვენთვის, რა თქმა უნდა! ჯაჭვური რეაქციის კანონს ძნელია აღუდგე წინ. მშვიდობას ვუსურვებ ევროპას, მეტ ჭკუას და შორსმჭვრეტელობას ევროპის იმ პოლიტიკურ წრეებს, ვისაც თავიანთი ქვეყნის და ხალხის მშვიდობა და სიკეთე უნდათ!

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემი სტატია დაიბეჭდა ასეთი სათაურით – **„ვინ მიგვაჩოჩებს რუსეთისკენ!..“** და მკითხველს ჩემს შეხედულებებს ვუზიარებდი... როგორ უხეშად გვექცეოდა ევროკავშირი, უგულებელყოფდა ჩვენს გულწრფელ სურვილს და მზადყოფნას ევროკავშირის წევრობისთვის და როგორ ცდილობდა ჩვენი უგუნური ოპოზიციის გვერდში დგომით, არეულობებისა და რევოლუციების მოწყობას ჩვენს ქვეყანაში, მალულად კი არა, აშკარად და გამომწვევად!

(„ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო!“ ქართული ანდაზა გამახსენდა!.. აი, რა დღეშია ახლა ევროკავშირი!).

ევროკავშირის ასეთმა დამოკიდებულებამ გამოაფხიზლა ქართველი ხალხი. როგორც იქნა მივაგენით იმ გზას, რომელზედაც არა ერთი და ორი ჩვენი წინაპარი ოცნებობდა და რომელიც მართლაც ნამდვილ სანიმუშო და სწორ გზად მიაჩნია პოლიტიკოსების უმრავლესობას ქვეყნის განვითარებისთვის: არავითარი სხვა ქვეყნის იმედი, არავითარი რომელიმე კავშირი. მხოლოდ საკუთარი შრომით, მეზობლებთან კეთილგანწყობით, დამოუკიდებლად ვმართოთ ჩვენი ქვეყანა და მშვიდობიანი, დიპლომატიური პოლიტიკით ყველა სახელმწიფოსთან გვქონდეს ურთიერთობა!

**ამ გამოფხიზლებამ მოიტანა ის იდეა, რომ ქვეყნის გაერთიანება , ჩვენი სანიმუშო და სათაყვანო ხალხების – აფხაზებისა და ოსების დაბრუნება ქართველ ხალხთან, მათ მიერ დაპავებული საქართველოს მიწების კვლავ ერთიან ქართულ საელმწიფოში გაერთიანება, როგორც საუკუნეების მანძილზე იყო ისე, მხოლოდ ჩვენივე დიპლომატიით, ამ ხალხებთან ურთიერთობით და რუსეთთან დიალოგით მიიღწევა და არა გელადომანიით შეპყროგილი (ასე გვეძცეოდნენ!) ევროკავშირში გაწევრებით!**

ერთი სიტყვით, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, რომ იტყვიან, ისე მოგვივიდა! მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი აეწყო და კარგად არის... არა, იმდენი რამ გვაქვს დასალაგებელი და მოსაწესრიგებელი... სამწუხაროდ, ბევრი რამ დავაგვიანეთ კიდევაც. რას მოაწესრიგებ დედაქალაქის იმ სახეს, რომელიც შეიქმნა ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ. უსახურ, უთვალავსართულიანი საცხოვრებელ კორპუსებს უარყოფითი, თორემ დადებითი არაფერი მოუტანია ქალაქისთვის, ხალხისთვის. ქალაქში მცხოვრებთა რაოდენობა სოფლების დაცარიელების ხარჯზე, არ არის სასიხარულო. კიდევ უარესი, ისეთი ფასები ადევს დღევანდელ საცხოვრებელ ბინებს, რომ წარმოუდგენელია სოფლიდან წამოსულმა ადამიანებმა შეიძინონ. და მაინც შენდება ეს ძვირადღირებული კორპუსები და იყიდება ვისზე? – არაბებზე, უკრაინელებზე, რუსებზე, ჩინელებზე და სხვა... განა ეს ქალაქის მესვეურებისათვის ან ვინმე ჩვენგანისათვის საამაყოა? ან სასარგებლოა? არა, რა თქმა უნდა. შემაძრწუნებელია!

**წარმოვიდგინოთ, რომ საკუთარ ოჯახში შემოგვისახლონ უცხო (გნებავთ, ნაცნობი) ადამიანები. ძალიან დიდი და მტკივნეული თემაა, ასე ორი სიტყვით ვერ გამოთქვამ სატკივარს (ნუთუ მე მეჩვენება?) საგანგაშო მდგომარეობაა თურმე, გათუმში...**

**ღმერთო, რა გვჭირს! ახლა კიდევ უფრო სასწაული ამბავი გავიგე: დიდუბის გოლოს, მარადმწვანე ხეებითა და ულამაზესი პარკით დამშვენებულ შესანიშნავ საგამოფენო ზონაში, სადაც ყოველ წელს „წიგნის დღეებიც“ ეწყობა, უზარმაზარი კორპუსების აშენებას აპირებენ, თურმე!**

**წარმოუდგენელია – ნეტავ ვისთვის და რისთვის? ისევ ახალი შეცდომები, ისევ ახალი სიმახინჯეები!**

ჩემო ძვირფასო მკითხველო, უამრავი პრობლემა აქვს საქართველოს, ვერ ვიტყვი, რომ არ ამბობენ და არ წერენ ამ პრობლემებზე სამშობლოს წინსვლით დაინტერესებული კალმოსნები, მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, ჩემი ხმაც მინდა შევუერთო მათ გულისტკივილს, მინდა გითხრათ, რომ მრავალ საჭირბოროტო საკითხებს შორის განათლების მიუღწეველ რეფორმასაც მოვიაზრებ. ურთულესი საკითხია და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი! განა შეიძლება მეცნიერებს, პედაგოგებსა და მშობლებთან დიალოგის გარეშე, პედაგოგიური ინსტიტუტების გარეშე ეს საკითხი მოგვარდეს? ვფიქრობ, რომ – არა! და სად არის ეს დიალოგი? სად არის პედაგოგიური ინსტიტუტი? პირველი კლასიდან მეექვსე კლასელთა ჩათვლით, რომ ფორმები ჩავაცვით მოსწავლეებს, ეს კარგია, მაგრამ არა – მთავარი. ჯერ აქაც არ არის ჯეროვნად მოგვარებული საქმე. ფორმის ტარება ზედა კლასელებისთვისაც საჭიროა და აუცილებელი.

**გადაგვერივნენ მოზარდები, გაწევლი თმებითა და ძვირფასი სამკაულებით მორთულ- მოკაზმულნი რომ დადიან გაკვეთილებზე (თუმცა ისიც საკითხავია, დადიან კი?), გაივსო ღამის კლუბები და თურმე სხვა „გასართობი“ დაწესებულებებიც ჩვენი მოზარდებით...**

ახლა საზღვარგარეთ გასაქცევად გამზადებულთა შესახებ არაფერი ვთქვათ? კარგია, ჩვენი ლამაზი გოგო-ბიჭები უცხო ქვეყნების გენოფონდს რომ ამდიდრებენ!?

**გულისტკივილით და ლამის ცრემლებით ვწერ ამ სტრიქონებს. როგორი იყო ამ ორმოცდაათი წლის წინ არსებული საშუალო სკოლა-სასწავლებლები საქართველოში და როგორია ახლა! როგორ გვაყვარებდნენ ჩვენი იმდროინდელი პედაგოგები საკუთარ თავს, მშობლებს, საქართველოს ისტორიას, ქართველ მწერლებს, ლიტერატურას მეხუთე საუკუნიდან დღემდე, იქვე როგორ გვასწავლიდნენ კლასგარეშე წიგნების კითხვას! და ყოველივე ამით როგორ შემოჰქონდათ ჩვენს უფაქიზეს და წრფელ გულებში სამშობლოს გულწრფელი სიყვარული. ეჰ, ვიცი, უნდა მოვეშვათ წარსულ დროებზე დარდს, მაგრამ სად არის ის ახალი ვარსკვლავი, რომლისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ?**



გულნარა სტურუა

03.11.26

იზოლდა მოშიაშვილი დაახლოებით 10 წლის წინ გავიცანი. მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობა არ შეწყვეტილა. ერთმანეთს ტელეფონით ვუკავშირდებით. როცა თბილისში ჩამოდის, ვხვდებით, როცა ისრაელში მივდივარ – იქაც. წლეულს, ოქტომბერში, თბილისში სტუმრობისას მითხრა: „ქართულად ავიდგი ენა, ისრაელში რომ წავედი საცხოვრებლად, ივრითზე არც საუბარი ვიცოდი, არც – წერა. გული სევდით მევსებოდა და საქართველო მენატრებოდა.

ისრაელი ჩემი სამშობლოა, მაგრამ საქართველოზე შიქრი არასდროს მტოვებს. ამიტომაც ვწერ ქართულად მოთხრობებს და ლექსებს, ვცდილობ, ასე მოვეშველო საქართველოს და ქართველებს. ნოსტალგია ძალიან რომ შემომაწვება, ბილეთს ვყიდულობ და საქართველოში მოვფრინავ“. საქართველოში როცა მოვდივარ, ყოველთვის კონკრეტული მიზნით, უფრო ხშირად კი სხვადასხვა ორგანიზაციების მოწვევით.



ლევან თაქთაქიშვილი, მანანა დუმბაძე, იზოლდა მოშიაშვილი და ქართველი ებრაელი ქალბატონები

# „მოლედეთ“ – სამშობლოდან სამშობლოსკენ...



იზოლდა მოშიაშვილმა ბიბლიოთეკას გაშლილი ხელების გამოსახულების სიმბოლური ქანდაკებაც გადასცა

**ქალბატონი იზოლდა შემოქმედებით საქმიანობას მხოლოდ ქართულ ენაზე ეწევა, გამოცემული აქვს რამდენიმე კრებული, რომლებშიც საქართველოს ცხოვრება და მასთან დაკავშირებული მოგონებებია აღწერილი.**

იზოლდა მოშიაშვილი გამონაკლისი არ არის. ქართველ ებრაელთა შორის მრავლად არიან, ასევე, მეტად პატივსაცემი ადამიანები, რომელთაგან ზოგი ლექსებით, ზოგი – მოთხრობებით, ზოგიერთი კი სამეცნიერო-ისტორიული გამოკვლევებითაც კი გამოხატავენ დიდ მონატრებასა და სიყვარულს. საქართველო მათთვის დღემდე რჩება სანატრელ და მშობლიურ ადგილად. თუმცა ეს კავშირი მხოლოდ იმით არ განისაზღვრება, რომ საქართველოში არიან დაბადებული – ბავშვობის მოგონებები, წინაპართა ხსოვნა, საყვარელი ადამიანების სახეები ქმნიან ერთიან ისტორიას და ეს ყველაფერი ინდივიდუალური შთაბეჭდილებებიდან ქართველ ებრაელთა კოლექტიური მეხსიერების ოქროს ფონდში იკავებს ადგილს.

რახან სიტყვა „ფონდი“ საუბარმა თავისთავად მოიტანა, სასიხარულო ამბავს გაგიზიარებთ: 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფონდი „მოლედეთ“ (ქართულად, „სამშობლო“) დაარსდა!

ამ კეთილი საქმის ინიციატორი სწორედ პოეტი, ქალბატონი იზოლდა მოშიაშვილი გახლავთ. მან, მეგობრებთან ერთად, ისრაელში გამოსული მე-20 საუკუნის ქართულენოვანი პერიოდული, მხატვრულ-ლიტერატურული და კვლევითი ხასიათის მეჭდური გამოცემები ჩამოიტანა და ბიბლიოთეკას გადასცა. ქალბატონ იზოლდა მოშიაშვილის თქმით, მეჭდური გამოცემების საქართველოში ჩამოტანის საკითხის გააქტიურება ისრაელში მოღვაწე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორი **ლადო ჭელიძის** სახელს უკავშირდება.

**იზოლდა მოშიაშვილი:** „ისრაელში, ჩემს პირად ბიბლიოთეკაში, ქართულენოვანი წიგნებისა და ჟურნალების საკმაოდ დიდი რაოდენობა დამიგროვდა; რადგან შვილიშვილებმა ქართული არ იციან, გადავწყვიტე, ამ მეტად საჭირო საგანძურისთვის ისეთი სამედო ადგილი მეპოვა, სადაც მას სათანადო ადგილს მიუჩენდნენ და დაინტერესებული მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი იქნებოდა. რჩევისთვის ბატონ **ლადო ჭელიძეს** მივმართე, ვკითხე, სად შეიძლებოდა მათი დაბინავება. სწორედ მან მიმასწავლა გზა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისკენ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. თუმცა ჩანაფიქრის არსებობა ერთია, განხორციელება – მეორე. ამ საქმის გაძღოლა მარტოს ნამდვილად გამიჭირდებოდა, გვერდით რომ არ დამდგომოდნენ ჩემი მეგობრები: **ლიანა ჯანა, ნატრული საფირ, ნათელა მირელაშვილი, ლენა და ისაკ ელიშაკოვები, ლიდა ეფრატი, მაია ფენერი. თითოეული მათგანის მადლიერი ვარ თანადომისთვის და უანგარო დახმარებისთვის.“**


* * *

**ქალბატონი იზოლდა ქარელშია დაბადებული და როგორც საქართველოსადმი, ასევე, ებრაული ფესვებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულზე მას არაერთი ლექსი და მოთხრობა აქვს დაწერილი. წლების წინ ჰკითხეს, რა არის ყველაზე დიდი ოცნება, რომელიც ჯერ არ აგისრულებიათ, და მან უპასუხა: „ისრაელში ჩემს ბინაში ერთ ოთახს ვაქცევ ქართულ ოთახად, სადაც ქართული წიგნები, ჟურნალები, ფოტოები, ნახატები, ჩემი ნამუშევრები, ჩემი ბებიის ნივთები, ჩემი ბებიის ფოტოები, ჩემი ბებიის ნახატები, ჩემი ბებიის

# ქართველთა ანთროპოლოგიის ფუძემდებელი

## მალხაზ აბდუშელიშვილი – 100 ცხოვრება და მოღვაწეობა

**გამოჩენილ მეცნიერს, შიგნით ანთროპოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილს 100 წელი შეუსრულდა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის ისტორიაში. მან თავისი მრავალწლიანი კვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის წარმოშობის, ისტორიული განვითარების, ანთროპოლოგიური თავისებურებებისა და კავკასიის მოსახლეობის ჩამოყალიბების საკითხების შესწავლაში.**



**მალხაზ აბდუშელიშვილის სამეცნიერო საქმიანობა მოიცავდა როგორც უძველესი, ისე თანამედროვე მოსახლეობის კვლევას. მისი ნაშრომები დღემდე მნიშვნელოვანია ქართული ანთროპოლოგიის, პალეოანთროპოლოგიისა და ეთნიკური ისტორიის შესწავლისათვის.**

მალხაზ აბდუშელიშვილი დაიბადა 1926 წლის 28 თებერვალს თბილისში. 1943 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1948 წელს წარმატებით დაამთავრა.უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სწავლა ასპირანტურაში ანთროპოლოგიის მიმართულებით გააგრძელა. მის პროფესიულ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ცნობილ მეცნიერებსა და პიროვნებებს – ალექსანდრე ნათიშვილსა და გიორგი დებეცს, რომელთა მოწაფეობაც მისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იყო.

1951 წელს მალხაზ აბდუშელიშვილმა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის სპეციალიზებულ საბჭოზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – **„სამთავაროს სამაროვნის პალეოანთროპოლოგია გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანაში“** და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა.ეს იყო მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისი. უკვე 1950-იანი წლებიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ შესწავლაში. 1963 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალიზებულ საბჭოზე. მისი სადოქტორო კვლევა საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან მონოგრაფიას – **„საქართველოს უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგია“**, რომელიც 1964 წელს გამოიცა.

მალხაზ აბდუშელიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო ქართველი და კავკასიის სხვა ხალხების ანთროპოლოგიური კვლევა. 1950-იანი წლებიდან დაიწყო ქართველების ანთროპოლოგიური შესწავლის ახალი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია ალექსანდრე ნათიშვილისა და მალხაზ აბდუშელიშვილის სახელებთან. პირველივე საველე ექსპედიციების შედეგად შესწავლილ იქნა საქართველოს მოსახლეობის 15 ეთნოტერიტორიული ჯგუფი. შემდგომი კვლევები გაცილებით ფართო მასშტაბით გაგრძელდა. მოკლე პერიოდში, ერთიანი სამეცნიერო პროგრამის საფუძველზე, რომელიც გიორგი დებეცთან იყო შეთანხმებული, შესწავლილ იქნა კავკასიის 118 ეთნოტერიტორიული ჯგუფი. ამ კვლევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მალხაზ აბდუშელიშვილმა და გივი ჯანბერიძემ. პირველი ძირითადად კეფალოსკოპიურ, ხოლო მეორე კეფალომეტრიულ კვლევებს ახორციელებდა. მოპოვებული მასალები საფუძვლად დაედო კავკასიის ხალხთა ორიგინალური ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის შექმნას. ამ კვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების, მათ შორის მსგავსებისა და განსხვავებების, უფრო სრულყოფილად შესწავლა.

მალხაზ აბდუშელიშვილის კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ქართველთა ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია. მან ქართველებში გამოყო სამი ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპი: კოლხური ტიპი, რომლის ვარიანტებია შავიზღვისპირული და დასავლურ-ქართული; იბერიული ტიპი, რომელიც მოიცავს აღმოსავლურ-ქართულ და სამხრეთ-ქართულ ვარიანტებს; კავკასიონის ტიპი, რომელიც ძირითადად მთის რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას უკავშირდება. აღნიშნული კლასიფიკაცია ეფუძნებოდა მოსახლეობის მორფოლოგიური ნიშნების დეტალურ შესწავლას და მათი ტერიტორიული გავრცელების ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კავკასიონის ტიპის თავისებურებებს. იგი სხვა ქართველური ჯგუფებისგან განსხვავდება სახის სიგანით, ცხვირის ფორმით, თავის ქალის ზომებითა და სხეულის სიმაღლის მაჩვენებლებით. **ამ საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრე ნათიშვილისა და მალხაზ აბდუშელიშვილის ერთობლივი კვლევები.**

მალხაზ აბდუშელიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს უძველესი მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიურ შესწავლას.მისი კვლევები ეყრდნობოდა საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩენილი ადამიანის ნაშთების შესწავლას. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამთავროს, დიღმის, სიონის, ნოქალაქევის, ვანის ქვაბებისა და სხვა არქეოლოგიური ძეგლების მასალები.

**სამთავროს სამაროვანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ანთროპოლოგიის ისტორიაში. სწორედ ამ ძეგლიდან მოპოვებულმა მასალებმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში კრანიოლოგიური კოლექციის შექმნას ჯერ კიდევ XIX საუკუნის გოლოს.**

მალხაზ აბდუშელიშვილმა სამთავროს სამაროვანში აღმოჩენილი მასალების საფუძველზე გამოყო მოსახლეობის ორი ანთროპოლოგიური ვარიანტი – სამთავროს პირველი და მეორე ვარიანტები. მისი მოსაზრებით, მათ შორის არსებული განსხვავებები არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ისტორიული ეპოქის ცვლილების შედეგად. ორივე ვარიანტი ევროპეიდულ რასას მიეკუთვნებოდა, თუმცა განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდებოდა.არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დიღმის სამაროვნის კვლევა. აქ აღმოჩენილი მასალები მოიცავდა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს: ბრინჯაოს ხანას, რკინის ხანასა და ადრეფეოდალურ ეპოქას. ამ მასალების შესწავლამ მალხაზ აბდუშელიშვილს საშუალება მისცა, გამოეკვლია ანთროპოლოგიური მსგავსებები მცხეთისა და დიღმის უძველეს მოსახლეობას შორის. კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე მოსახლეობის ჩამოყალიბების პროცესში არსებობდა ხანგრძლივი ისტორიული და გენეტიკური კავშირები. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ნოქალაქევის ელინისტური ხანის მასალების შესწავლა. ამ კვლევამ გააფართოვა მანამდე ცნობილი ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელების არეალი და ახალი ინფორმაცია მოგვცა დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის შესახებ. ამგვარად, მალხაზ აბდუშელიშვილის პალეოანთროპოლოგიურმა კვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ძველი მოსახლეობის ისტორიული განვითარების, მათი ანთროპოლოგიური თავისებურებებისა და მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შესწავლაში.

საქართველოს უძველესი მოსახლეობის შესწავლამ მალხაზ აბდუშელიშვილი კავკასიის სხვა ხალხების ანთროპოლოგიური ისტორიის კვლევის აუცილებლობამდე მიიყვანა.ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის მონოგრაფიებს: **„კავკასიის ძველი და თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიისათვის“** (1966) და **„კავკასიის მოსახლეობა ელინისტურ ხანაში“** (1987). ამ ნაშრომებში გაანალიზებულია კავკასიის უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებები. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმოშობას, ისტორიულ უწყვეტობასა და დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

მისი კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა იყო მოსაზრება, რომ კავკასიის მოსახლეობის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ ისტორიულ პროცესებს. იგი ყურადღებას ამახვილებდა უძველეს და თანამედროვე მოსახლეობას შორის მორფოლოგიურ მსგავსებაზე და ამ მსგავსების ისტორიულ მნიშვნელობაზე.

**მალხაზ აბდუშელიშვილმა შეისწავლა კავკასიის მრავალი ეთნიკური ჯგუფი, მათ შორის ქართველები, სომხები, აფხაზები, ოსები, ჩეჩნები, ინგუშები, ადიღეველები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, აზერბაიჯანელები და სხვა ხალხები.**

**მისი კვლევები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიით. მან შეისწავლა ინდოეთის მოსახლეობის 47 ჯგუფიც, რამაც მისი სამეცნიერო ინტერესების გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა. მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებებიც სამხრეთევროპეიდული რასის წარმოშობისა და ფორმირების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ სამხრეთევროპეიდული და, ზოგადად, ევროპეიდული მოსახლეობის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილს, ახლო აღმოსავლეთსა და წინა აზიის ჩრდილოეთ რეგიონებს.**

მალხაზ აბდუშელიშვილის განსაკუთრებული დამსახურება მხოლოდ კვლევების შედეგებით არ შემოიფარგლება. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდების განვითარებასა და სრულყოფაში. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია სტატია „ანთროპოლოგიური ნიშან-თვისებათა ეპოქალური ცვალებადობის შესახებ“ (1960). მასში განხილულია უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური ნიშნების ცვლილება ისტორიულ დროში. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაშრომს **„ყვრიმალთაშუა დიამეტრის ტაქსონომიური მნიშვნელობა კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური კლასიფიკაციისთვის“** (1964). ავტორი ყვრიმალთაშუა დიამეტრს მოსახლეობის ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად მიიჩნევდა. ამ ნიშნის შესწავლით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ეთნოტერიტორიულ ჯგუფს შორის მისი კვლევების მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ასაკობრივი ცვლილებების შესწავლაც. 59 ქართველური ჯგუფის მასალების საფუძველზე გაანალიზებული იქნა ყვრიმალთა შუა დიამეტრის ასაკთან დაკავშირებული ცვლილებები. ეს კვლევა განსაკუთრებით საყურადღებოა უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის შედარებითი შესწავლის დროს.

**მალხაზ აბდუშელიშვილის კალამს ეკუთვნის ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი. მათ შორის აღსანიშნავია: „საქართველოს უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგია“ (1964) ;„ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს უძველესი ისტორიისათვის“ (1975); „კავკასიის ძველი და თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიისათვის“ (1966); „კავკასიის მოსახლეობა ელინისტურ ხანაში“ (1987); „კრანიოლოგია“ (1976). განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმძღვანელო „კრანიოლოგია“, რომელიც 1976 წელს ქართულ ენაზე გამოიცა. მასში განხილულია ადამიანის თავის ქალის ანატომიური და ანთროპოლოგიური თავისებურებები, მათი შესწავლის მეთოდები და მიღებული მასალების მეცნიერული დამუშავების პრინციპები. ამ სახელმძღვანელოში პირველად გამოქვეყნდა კრანიოლოგიური წერტილების სრული ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისები, კრანიოლოგიური ნიშნების კლასიფიკაციის ორიგინალური სქემა და მრავლობითი მასალების დამუშავების ახალი მეთოდი. 1992 წელს გამოიცა მისი მეორე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო – „Антропологическая методика“, რომელშიც ავტორმა თავისი მრავალწლიანი გამოცდილება და კვლევის მეთოდები გააერთიანა. აღნიშნულმა ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა ანთროპოლოგთა სამეცნიერო წრეებში.**

მალხაზ აბდუშელიშვილის სამეცნიერო ინტერესები მხოლოდ პალეოანთროპოლოგიითა და კრანიოლოგიით არ შემოიფარგლებოდა. იგი იკვლევდა თანამედროვე ანთროპოლოგიის მრავალ აქტუალურ საკითხს.მისი ნაშრომები ეხებოდა საქართველოში მოზარდების ფიზიკურ განვითარებას, ბეტა-თალასემიის გავრცელებას, ახალშობილთა ფიზიკურ განვითარებაზე მავნე ტრადიციების გავლენას, რასობრივი და მორფოლოგიური ნიშნების ურთიერთკავშირს, ბიოლოგიური და ქრონოლოგიური ასაკების თანაფარდობასა და სხვა საკითხებს.ეს მრავალფეროვანი სამეცნიერო ინტერესები ნათლად წარმოაჩენს მის ფართო ცოდნასა და კვლევით შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე მისი დამოკიდებულება მასწავლებლების, კოლეგებისა და თანამშრომლების მიმართ. მალხაზ აბდუშელიშვილი დიდი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებდა თავის მასწავლებლებსა და მეცნიერ თანამოაზრეებს. მის კალამს ეკუთვნის მოგონებები ალექსანდრე ნათიშვილზე, გიორგი დებეცზე, ნიკო ბერძენიშვილზე, გიორგი ნიორაძეზე, ს. კახიანსა და სხვა გამოჩენილ პიროვნებებზე.

მალხაზ აბდუშელიშვილის ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება პროფესიული ერთგულებით, შრომისმოყვარეობითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვო საკუთარი ქვეყნის მეცნიერების განვითარებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მიერ შექმნილ ქართველთა ანთროპოლოგიურ კლასიფიკაციას, პალეოანთროპოლოგიურ გამოკვლევებსა და ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდების განვითარებაში შეტანილ წვლილს. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა მოიცავს მრავალ მონოგრაფიას, სამეცნიერო სტატიასა და სახელმძღვანელოს, რომლებიც მნიშვნელოვანი საფუძველია მომავალი მკვლევრებისთვის.

**მალხაზ აბდუშელიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული ანთროპოლოგიის ისტორიაში, როგორც მეცნიერისა, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა ადამიანის, ხალხთა ისტორიული განვითარების და საქართველოს უძველესი მოსახლეობის შესწავლას. მისი ნაშრომები წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო მემკვიდრეობას და კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული მეცნიერების დიდ პოტენციალსა და მნიშვნელობას.**

# სიმართლეს ვერსად წაუხვალ!..

**„მეგობარი“ ევროკავშირის ელჩის პაველ ჰერჩინსკის კიდევ ერთმა აშკარად ანტიქართულმა, ცინიზმით სავსე, უკიდურესად შეურაცხმყოფელმა გამოხდომამ მთელი საქართველო ააფორიაქა და ბევრი სხვა არანაკლებ საჭირბოროტო პრობლემა გადაფარა. საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე ოპოზიციური პარტიების „აპრძალვის პროცესიც“ ერთ-ერთი ასეთი დროებით „გადაფარული“ თემა აღმოჩნდა.**



# ახალეთ, დაჭამონ ერთმანეთი!

რამე რომ არ შემეშალოს (ეშმაკს არ სძინავს!), შემოგთავაზებთ ამონაწერს ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელიდან: **„ვინაიდან ზემოხსენებული პოლიტიკური პარტიების** (იგულისხმება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის“, „ძლიერი საქართველო – ლელო“, „ფედერალისტური პარტია“, „გახარია საქართველოსთვის“ – **თ. ქ.**). **საქმიანობის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალადობით შეცვლა, საქართველოს დამოუკიდებლობის დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენ კონკრეტულ პირებზე, თუნდაც ისინი დღეს მშობლიური „ლელოს“ და ფედერალისტების კი არა, აშშ-ის რესპუბლიკური ან დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ – „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ერთეული, დიახაც უნდა აიკრძალოს და მისმა წევრებმაც დიახაც უმკაცრესი პასუხი უნდა აგონ ძველი და ახალი დანაშაულებისთვის!**

თუნდაც იმის გამო, რომ მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს.

**თუმცა, მოდი, ქვეყანაში არსებულ ვითარებას სხვა მხრიდანაც შევხედოთ. დღევანდელი ნაცოპოზიციის ვითარება აშკარად უნუგეშოა. თავად განსაჯეთ: მისი და მთლიანად აგრესიული ოპოსპექტრის პირველი გელადი საბოლოოდ დრუბლეგში გადასახლებული პატიმარი საააკაშვილია**; მეორე გელადი – ერთობ საეჭვო წარმომავლობის მარადიული პრეზიდენტის რანგში აღზევებული **სალომე ზურაბიშვილი;** მესამე გელადი – ცრუპენტელების დედოფალი **ნიკა გვარამია**; მეოთხე გელადი – არაფრისმთქმელი თინა ბოკუჩავა; მეხუთე გელადი – არარაობა **ლევან ხაბეიშვილი**; მეექვსე გელადი – ფარისეველი და ერთობ საეჭვო გონებრივი მონაცემების მძონე **ნანუკა ჟორჟოლიანი**; მეშვიდე გელადი – თაღლითების და ჯპუასუსტების პრინცი **ალეკო ელისაშვილი**; მერვე გელადი – რუსეთის „მძარცველი“ **ელენე ხოშტარია;** მეცხრე გელადი – ძურდგაცაცა **მამუკა ხაზარაძე;** მეათე გელადი – ათას ღობეზე გადამხტარი **გიორგი გახარია**... ხვალინდელი გელადი – **მარიზი ანთიელიყო**, ან ძუჩის რომელიმე ენაგრილწი დედაკაცი; საზოგადოების მხარდაჭერა – თითქმის ნულის ტოლი; უცხოური ფინანსური დახმარება – სიმბოლური...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი „დიდი ნიკას“ მოთხოვნა რად ღირს – გთხოვთ, პროცესზე დასაკითხად გამოიძახოთ მოწმეები, ოღონდ, არ ვიცი, ვინ უნდა გამოიძახოთ, მათი ვინაობა და თანამდებობები თქვენ თვითონ დაადგინეთ!

ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ნაცმოძრაობის (და მისი სატელიტი „პარტიების“) აკრძალვა გაუქმების მოთხოვნა ობიექტური, მაგრამ მაინც ერთობ საჭოჭმანო გადაწყვეტილებაა. თუ ეს დიდი დამწყები პოლიტიკოსის, ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილის დაკვეთით კეთდება, ყველაფერი გასაგებია – ერთადერთი, რაც მის აბსოლუტურად უავტორიტეტო, გასაქრობად განწირულ პარტიას გადაარჩენს, სწორედაც აკრძალვაა.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენებზეც („კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ლელო“, „გახარია საქართველოსთვის“).

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რასაც ხელისუფლება ყურადღების მიღმა ტოვებს – მომავალ არჩევნებში ყველა ეს აგრესიული „ოპოზიციური პარტია“ იქნება არა მმართველი „ქართული ოცნების“, არამედ ერთმანეთის კონკურენტი. შესაბამისად, ყველა ეს (ხუთივე!) პარტია ყველანაირად, ყველა სამართლებრივი და მორალური კოდექსის დარღვევით ეცდება სიმართლის გამოაშკარავებას ანუ... ერთმანეთისთვის სახელის გატეხვას.

ჩემი აზრით, ჩვენს საკონსტიტუციო სასამართლოს „კოალიციის“ წევრი პარტიების დამნაშავე ორგანიზაციებად გამოცხადება გაუჭირდება წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისითაც. თავად განსაჯეთ – როგორ უნდა დაუმტკიცო გახარიას ან ჩერგოს პარტიებს იმ წლებში ჩადენილი დანაშაულები, როცა ეს პარტიები, საერთოდ, არ არსებობდა! ხოლო თუ საქმე კონკრეტულ პირებზე მიდგება (მაგალითად, ჩერგოს ქმარ „დიდი პოლიტიკოს“ გიგა ბოკერიაზე), მაშინ უნდა გასამართლდეს არა პარტია, არამედ ის კონკრეტული პირი (მაგალითად, გიგა ბოკერია). იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, რომელიც განაჩენის გამოტანისას მხოლოდ ცივი გონებით და განსასჯელის გამამტყუნებელი უტყუარი არგუმენტებით ხელმძღვანელობს. ჩვენი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ევროპულ სასამართლოში გადაბარგება კი იქნება უდიდესი შვება მშობლიური თაღლითური ოპოპარტიებისთვის – ხელს შეუწყობს დროებით მაინც მათ საფლავიდან წამოდგომას.

ჩემი ამ მოსაზრების დასადასტურებლად ერთ მრავლისმეტყველ ცინცხალ ფაქტს მოვიშველიებ. სულ რაღაც ერთი თვის წინათ საბოტაჟისა და სამშობლოს ღალატის უმძიმესი ბრალდებით დააკავეს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი დომენტი (დიტო) ჩუბინიძე, ოფიციალური ინფორმაციით, „ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი, პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი და ჟურნალისტი“.

სამწუხაროდ, ბატონი დიტოს ისტორიკოსობის, პოლიტოლოგობის, პედაგოგობისა თუ პროფესორობის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. როგორც ჟურნალისტს კი უკვე დიდი ხანია ვიცნობ – მთელი მისი საკმაოდ ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობა მუდამ ემსახურებოდა და ემსახურება ერთ დიად მიზანს - საკუთარი თავისა და საკუთარი გაზეთის პოპულარიზაციას, თუნდაც ქვეყნის ინტერესების შელახვის ხარჯზე!

ამის გამო იგი არასოდეს არცერთ ხელისუფლებას არ დაუპატიმრებია, კარიერულ წინსვლაშიც წინ არავინ გადადგომია. ამის მიზეზი ერთადერთია – დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელების გამო ჟურნალისტის დასჯა ხელს შეუწყობდა ამ ჟურნალისტის პოპულარობას და მეტი არაფერი.

ერთი თვის წინ კი, როგორც უკვე ვთქვი, იგი საბოტაჟისა და სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააკავეს. ამის უშუალო მიზეზი გახდა ჟურნალისტის მიერ მიმდინარე წლის თებერვალში ჩაწერილი და სექტემბერში კიდევ ერთხელ გავრცელებული აუდიო ინტერვიუ აწ გარდაცვლილ რესპონდენტ ლაზარე ჯორბენაძესთან.

შეგახსენებთ, რომ ეს იყო აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, უარგუმენტო მიეთ-მოეთი საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მიერ დავითგარეჯის ტერიტორიების აზერბაიჯანისთვის გადაცემის თაობაზე.


ხელისუფლება სწრაფად მიხვდა თავისი გადაწყვეტილების კომიკურობას და ჟურნალისტი სამიოდ დღეში გაათავისუფლა. ვიმეორებ – ხელისუფლებამ აღმკვეთი ღონისძიება 4000-ლარიანი ჯარიმით შეუცვალა და პატიმრობიდან გაათავისუფლა სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებული პირი. ანუ გააკეთა სწორედ ის, რაც სურდა პირადად ჟურნალისტს და მის გაზეთს.

ნათქვამის დასტურად თავად ბატონი დომენტის მიერ „ნეტგაზეთისთვის“ ნათქვამი ეს სიტყვებიც გამოდგება:

**„მადლობა ღმერთს და მადლობა ზაზა ხატიაშვილს (ადვოკატი – თ. ქ.), ჩემს მეგობარს, რომელმაც იზრძოლა. ჩემს სიმართლეში გავიმარჯვეთ. დიდი მადლობა ქართველ საზოგადოებას, რომელიც ასე მიდგას გვერდით და ეტყობა, ამ ყველაფერმა ერთობლიობაში დადო ეს შედეგი და უცხოეთიდანაც ზეწოლამ. მე ამათთან არანაირ გარიგებაზე და რაღაც საპროცესოზე არ წავიდოდი, ეს გამორიცხული იყო. ეს საქმე წავიდოდა სტრასბურგში და აქედან გამომდინარე, ამ ყველაფერმა ერთობლიობაში და ბატონი ზაზას მაღალმა პროფესიონალიზმმა, მოიტანა ეს შედეგი. დიდი მადლობა თქვენც, ყველას ვინც, გვერდით მედექით“.**

მართალია, პირადად მე, როგორც ჟურნალისტი, ბატონი დიტოს გვერდით არ ვმდგარვარ, არც მისი ციხიდან გამოშვების მოთხოვნით ევროკავშირის დროშები არ მიფრიალებია, მაგრამ მისი გათავისუფლება მართლაც ძალიან გამიხარდა. განსაკუთრებით იმის გამო, რომ ხელისუფლება მიხვდა თავის შეცდომას. ბატონმა დიტომ კი დასახულ მიზანს ამჯერადაც უპრობლემოდ მიაღწია – მისი სახელი და მისი გაზეთი „ასავალ-დასავალი“ კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ეს მაგალითიც არის კლასიკური ნიმუში იმისა, რომ ხელისუფლება ნებით თუ უნებლიეთ, ზოგჯერ აკეთებს ზუსტად იმას, რასაც მისი ოპონენტები კარნახობენ.

**არ ვამტკიცებ, რომ აბსოლუტურ ჯეშმარიტებას ვღაღადებ და ჩემი აზრი ხელისუფლებამ უეჭველად უნდა გაიზიაროს. უბრალოდ, ვფიქრობ, იქნებ საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება მიაქციოს თავისი ალალი მხარდამჭერი, მრავლისმნახველი, მრავალჯერვარამგამოვლილი და ქვეყნის უკეთეს მომავალზე მოფიქრალი ერთი უპარტიო თანამოქალაქის მოსაზრებას.**



**თეიმურაზ ქორიძე,**
**08. 11. 2026**



# უსახლკაროს სტატუსის მქონე ნინო ხოჯავას ოჯახს ბინა გადაეცა!

**გჯეროდეთ, ოცნებები ხდება, მე ეს ოცნება ათი წლის შემდეგ ამიხდა. მადლობა თქვენ ამისთვის,- ამ სიტყვებით შეეგება უსახლკაროს სტატუსის მქონე ნინო ხოჯავა თბილისის მერს კახა კალაძეს, რომელმაც გუშინ მის ოჯახს სარგებლოგის უფლებით ბინა გადასცა.**

როგორც ხოჯავამ საუბრისას აღნიშნა, მისი ოჯახის ათი წლის ოცნება თბილისის მერიის შესაბამისმა პროგრამამ რეალური გახადა.

**„ბავშვები პატარები მყავდნენ, ბინა რომ დავკარგეთ. დღეს ვფიქრობ, რომ ოცნებები ხდება. მე ეს ოცნება ამიხდა ათი წლის შემდეგ. 2016 წელს შევიტანეთ განცხადება მერიაში. ამდენი წლის შემდეგ საერთოდ აღარ მქონდა იმედი. კახა კალაძემ დიდი სიკეთე გამიკეთა და ვისურვებ, ეს სიკეთე დაბრუნებოდეს. ყველას მოვუწოდებ, ვინც ჩემს მდგომარეობაშია, არ დაყაროს ფარ-ხმალი. მე მევრი ვიბრძოლე მთელი ჩემი ცხოვრება. ყოველთვის მეგონა, რომ სულ მარტო ვიყავი, მაგრამ ახლა ამდენი ადამიანია ჩემს გვერდით და ჩემი ოცნება ასე ხილულად ახდა. ბინა სრულად მოწყობილი და აღჭურვილი დაგვხვდა და როგორ შეიძლება, მადლობელი არ ვიყო. ბატონმა კახამ გააკეთა სასწაული და მინდა, ჩვენი მოსახლეობა ენდოს მას“**, – განაცხადა **ნინო ხოჯავამ.**

კახა კალაძემ ოჯახს ახალმოსახლეობა პირადად მიულოცა. წელს საცხოვრებელი უსახლკაროს სტატუსის მქონე 40 ოჯახს გადაეცა. **12 ბინაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. თბილისის მერი ხოჯავას ოჯახს „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ დირექტორ გოჩა მინდიაშვილთან ერთად სტუმრობდა.**

# საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკირის პროფესიული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკირის პროფესიული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა და საბანკო სექტორის თანამშრომლები დააჯილდოვა. განსაკუთრებული პროფესიული დამსახურებისა და მრავალწლიანი საქმიანობისთვის სპეციო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ სებ-ის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ეროვნული ბანკში მუშაობის 30 წელი შეუსრულდათ. ასევე დაჯილდოვდნენ კომერციული ბანკების გამორჩეული თანამშრომლები.**

შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა და პროფესიული დღე მიულოცა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **ნათია თურნავამ**. მან ხაზი გაუსვა საბანკო სექტორში დასაქმებულ პროფესიონალთა განსაკუთრებულ როლს და აღნიშნა, რომ ქართული საბანკო სისტემის წარმატება სწორედ მათი ცოდნის, გამოცდილების, პასუხისმგებლობისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

მისივე თქმით, ბანკირის დღე შესაძლებლობაა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქართული საბანკო სისტემის ისტორია, შევაფასოთ განვლილი გზა და დავაფასოთ ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ქმნიან ქვეყნის ფინანსური სისტემის მომავალს.

**ბანკირის დღე საქართველოში 2001 წლიდან აღინიშნება. 8 ნოემბერი პირველი ქართული ბანკის – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებასა და მისი პირველი მმართველის ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს უკავშირდება. პროფესიული დღის დაწესების ინიციატივა ეროვნულ ბანკსა და საბანკო ასოციაციას ეკუთვნით.**




# აშშ ირანის ბირთვულ პროგრამაზე ინფორმაციისთვის 20 მილიონ დოლარ ჯილდოს აწესებს



**აშშ-ის სამხედრო უწყების ინფორმაციით, შეერთებული შტატები ირანის ბირთვულ პროგრამაზე ინფორმაციის მიწოდებისთვის 20 მილიონ დოლარამდე ფულად ჯილდოსა და „შესაძლო გადასახლებას“ (სხვა ქვეყანაში უსაფრთხო გადაყვანას) აწესებს.**

აშშ-ის ცენტრალური სარდლობის (CENTCOM) განცხადებით, სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამა „ჯილდო სამართლიანობისთვის“ ანაზღაურებას სთავაზობს პირებს, რომლებსაც შეუძლიათ ინფორმაციის მიწოდება ბირთვული პროგრამის „ობიექტების, აღჭურვილობისა და მასთან დაკავშირებული პერსონალის – მათ შორის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების, ან რომელიმე მათგანის გადაადგილების შესახებ“.

**პროგრამა „Rewards for Justice“ 1984 წელს შეიქმნა და მისი მიზანი ფულადი ჯილდოს გაცემაა იმ ინფორმაციის სანაცვლოდ, რაც ეროვნული უსაფრთხოების დაცვას შეუწყობს ხელს.**

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში აღნიშნულია: **„რეჟიმის მხრიდან ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) წინაშე უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ განაპირობა ის, რომ სააგენტომ დაკარგა უწყვეტი მონაცემები ირანის მიერ ისეთი საკვანძო კომპონენტების წარმოებასა და მარაგებზე, როგორიცაა ცენტრიფუგები“.**

**პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არაერთხელ განაცხადა, რომ აშშ-ის ძალებმა ირანის ბირთვული ობიექტები „მიწასთან გაასწორეს“...**

# ირაკლი ჩიქოვანი: „ჯარის ქალაქში“ ბინები 1 216 სამხედროს გადაეცემა



**თავდაცვის მინისტრ ირაკლი ჩიქოვანის ინფორმაციით, „ჯარის ქალაქში“ ბინები კიდევ 1 216 სამხედრო მოსამსახურეს გადაეცემა. ამის შესახებ „გახარია საქართველოსთვის“ დევუტატის სოფიო ხორგუანისთვის მიწერილი კითხვის პასუხშია აღნიშნული, რომელიც პარლამენტის გვერდზე აიტვირთა.**

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დაინტერესდა – რამდენ სამხედრო მოსამსახურეს გადაეცა საცხოვრებელი ბინა, როდის იგეგმება საცხოვრებელი ბინების შემდგომი განაწილება და რამდენი ბინის გადაცემაა დაგეგმილი შემდეგ ეტაპზე.

**„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი ფართობების (ბინების) მშენებლობის მიზნით, 2024 წლიდან ხორციელდება პროექტი „ჯარის ქალაქი“. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასრულების შემდეგ, საცხოვრებელი ფართობის (ბინა) გადაცემა დაგეგმილია თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ინდივიდუალური მინათმშენებლობის ამხანაგობა „ჯარის ქალაქის“ წევრი 1,216 სამხედრო მოსამსახურისათვის“**, – ნათქვამია **ირაკლი ჩიქოვანის** პასუხში.


როგორც **BMG**-ის თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ბინები 2027 წლის ბოლოს გადაეცემათ.

მათი ცნობით, კოდექსის ამოქმედებამდე, „თავდაცვის მინისტრის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით, საცხოვრებელი ფართობი (ბინა) 1 072 სამხედრო მოსამსახურეს გადაეცა.

**ცნობისთვის, 2025 წლის მაისში თბილისში, მახათას მთაზე მშენებარე ჯარის ქალაქის პროექტი გაფართოვდა. 43 ახალი კორპუსის ნაცვლად, პროექტი 44 კორპუსამდე, 1232 ბინამდე გაიზარდა. 2025 წლის 19 მაისის განკარგულების თანახმად, თავდაცვის სამინისტროს უფლება მიეცა კონტრაქტორ კომპანია „ანაგთან“ 144 მილიონ ლარის ღირებულების კონტრაქტი 147 მილიონ ლარამდე გაეზარდა.**

პროექტის ფარგლებში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების ბინებით დაკმაყოფილებისთვის 7-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები შენდება. ამ კორპუსებში სამხედრო მოსამსახურეები უძრავ ქონებას სპეციალური ფასდაკლებული პირობებით შეისყიდიან. კომპანიასთან სამშენებლო ხელშეკრულება გასული წლის ნოემბერში გაფორმდა და ის 1202 ბინის მშენებლობას ითვალისწინებდა. პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტს ავანსის სახით 30 მილიონი ლარი უკვე გადახდილი აქვს.

**თავდაცვის სამინისტრომ ჯარის ქალაქის მეორე ფაზის მასშტაბი ერთხელ უკვე გაზარდა, კერძოდ კი, გასულ წელს პროექტის აღწერაში მითითებული იყო 39 კორპუსის მშენებლობა და ტენდერიც 1092 ბინის მშენებლობისთვის გამოცხადდა, შემდგომ კი კომპანია “ანაგთან“ კორპუსების რიცხვი 43-მდე გაიზარდა (1202 ბინა), ახლა კი ის დამატებით 44 კორპუსამდე (1232 ბინამდე) გაიზარდა.**



მსოფლიო პოლიტიკური ორბიტა ახალ და სახიფათო ტურბულენტობის გრნაში შედის. აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მასპინძლობით დაგეგმილი „დიდი ოცეულის“ ( 20) მაიამის სამიტის მოახლოებასთან ერთად, დასავლურ დიპლომატიურ კულისებში ისეთი დაძაბულობა იგრძნობა, რომგორც არასდროს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება არა მხოლოდ უკრაინის ბედი, არამედ მთელი ევროპული უსაფრთხოების მომავალიც.

დიპლომატიური ხალიჩის მიღმა თამაშები, ევროპის შიში, ვაშინგტონის ახალი რეალობა და უკრაინის მიგნით ატეხილი დამანგრეველი შტორმი – ვითარება კრიტიკულ გზვარს აღწევს.



# ტრამპის ხაფანგი

## ნატო თუ არა უკრაინა კაპიტულაციაზე?

### ,,არაფერი უკრაინის გარეშე!“

**მაიამის სამიტის წინ მთავარ ინტრიგად დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის შესაძლებელი პირისპირ შეხვედრა იქცა. გერლინში, უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გერმანიის კანცლერმა ფრიდრიხ მერცმა ისტორიული სიმკვეთრით შემოავლო წითელი ხაზები.**

**მერცის** განცხადებით, თუ **ტრამპი პუტინს** მიიწვევს, მოლაპარაკებების მაგიდასთან აუცილებლად უნდა იჯდეს უკრაინის პრეზიდენტიც.

**„თუ პრეზიდენტი ტრამპი რუსეთის პრეზიდენტის მიწვევას გადაწყვეტს, მაშინ უკრაინაზე უნდა ვისაუბროთ. ხოლო თუ უკრაინაზე უნდა ვისაუბროთ, მაშინ უკრაინის პრეზიდენტი მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა იყოს!“**, – აცხადებს გერმანიის კანცლერი.

**მერცმა** ღიად მიანიშნა, რომ ბერლინი და ევროპა არ დაუშვებენ უკრაინის ბედის გადაწყვეტას კიევისა და ბრიუსელის მონაწილეობის გარეშე. მისი თქმით, **„თუ უკრაინა მოლაპარაკებების მაგიდასთან იქნება, მაშინ ევროპაც იქ იქნება“.**

### ,,ამერიკის ძალა აღარ არსებობს“

**გერლინის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლისას, ვოლოდიმირ ზელენსკიმ აშშ-ის არჩევნების შემდგომი რეალობა და გლობალური უსაფრთხოების კოლაფსი მკაცრი და შეუნიღბავი ენით შეაფასა.**

მან მოიშველია აშშ-ის მოქმედი ელჩის სკანდალური განცხადება იმის შესახებ, რომ **„ამერიკა, როგორც გარანტი სამყაროსთვის, ბოლო 80 წლის განმავლობაში აღარ არსებობს“.**

უკრაინის ლიდერმა უსაფრთხოების ფაქტორი ჰაერის აუცილებლობას შეადარა:

**„რამდენი წუთი შეუძლია გაძლოს ადამიანმა ჰაერის გარეშე? პასუხი ყველამ ვიცით – ეს ნიშნავს გარდაუვალ სიკვდილს. ადამიანების უმეტესობისთვის უსაფრთხოების დაკარგვა ზუსტად იგივეს ნიშნავს. როდესაც მარტო დგახარ, მსხვერპლი ხდები. ევროპაში არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მარტომ დაიცვას თავისი ცა ბალისტიკური რაკეტების იმ რაოდენობისგან, რაც რუსეთს შეუძლია გაუშვას. არავის!“**, – განაცხადა მან.

**ზელენსკის** ეს გზავნილი ევროპული დედაქალაქების მიმართ ბოლო ზარია – ვაშინგტონი სულ უფრო მეტად ფოკუსირდება შიდა გამოწვევებზე და ევროპამ საკუთარი თავის დაცვა დამოუკიდებლად უნდა ისწავლოს.

## ზეწოლა სამშვიდობო გარიგებაზე თუ ახალი ხაფანგი?

**ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, თეთრი სახლის კორიდორებში სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ იმაზე, რომ ტრამპი უკრაინაზე ზეწოლის გაძლიერებას შეეცდება, რათა კიევი იძულებით ნაბიჯებს დათმობებზე და მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდეს.**

**ტრამპის** ხელთ არსებული ინსტრუმენტების არსენალი მკაცრია: ფინანსური და სამხედრო არხების გადაკეტვა – დახმარების შეფერხებამ შესაძლოა უკრაინული ფრონტი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდოს.

დიპლომატიური ულტიმატუმები – მოსკოვსა და კიევზე ერთდროული ზეწოლა **„სწრაფი ზავის“** მისაღწევად, მიუხედავად იმისა, თუ რა ტერიტორიულ და პოლიტიკურ დათმობებს მოითხოვს ეს უკრაინისგან.

თუმცა, თუ ტრამპი ცდილობს ძალისმიერი მეთოდებით აიძულოს კიევი მოლაპარაკებაზე, ევროპული მხარე ცდილობს ამ პროცესში ბალანსი შეიტანოს და პუტინთან ერთპიროვნული, უკრაინის ხარჯზე მიღებული გარიგებები გამორიცხოს.

## კორუფცია, სკანდალები და ,,საწამებელი ოთახები“

**დიპლომატიური და ფრონტის ხაზის მიღმა, უკრაინაში ვითარება კრიტიკულ ზღვარს აღწევს. ქვეყანა უმძიმეს შიდაპოლიტიკურ და მორალურ კრიზისშია, რასაც რამდენიმე მტკივნეული ფაქტორი განაპირობებს:**

მედიაში აქტიურად იზრდება წნეხი ხელისუფლების გარშემო. განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა მმართველი გუნდის ლიდერების, მათ შორის, დავით არახამიას შესაძლო დაკავებისა და კორუფციულ სქემებში ჩართულობის შესახებ გავრცელებულ ცნობებს, რასაც ქვეყნის შიგნით ლეგიტიმაციის კრიზისი მოჰყვა. ქვეყანაში გამოაშკარავდა ფარული ბანაკები და „საწამებელი ოთახები“, სადაც გავრცელებული ინფორმაციით, ომიდან დეზერტირობაში ეჭვმიტანილი ან სამხედრო დისციპლინის დარღვევისთვის დაკავებული პირების წამება და არაადამიანური მოპყრობა მიმდინარეობდა.

**ეს შიდა სკანდალები საზოგადოებრივ განწყობას ძირს უთხრის, არმიის მობილიზაციას ართულებს და დასავლელ პარტნიორებში მწვავე კითხვებს აჩენს იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად იმართება ქვეყანა გიგანტური გეოპოლიტიკური ომის პარალელურად. მომავალი რამდენიმე კვირა და მაიამის სამიტი გადაწყვეტს, აღმოჩნდება თუ არა უკრაინა ისტორიული გარიგებების მსხვერპლი, თუ ევროპა შეძლებს თავისი პოზიციის ბოლომდე დაცვას?!**

მოამზადა
ლიკა ბერიკაშვილმა

# იულია მენდელი – უკრაინის მოღალატე!

**უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ზელენსკის ყოფილი პრესმდივნის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის საფუძველზე სამართლებრივი პროცედურები დაიწყო.**

**იულია მენდელი, რომელიც 2019-2021 წლებში უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის პრესმდივნის თანამდებობას იკავებდა, უკრაინის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ღალატის საფუძველზე დაწყებული გამოძიების სამიზნე გახდა.**



უკრაინის გენერალური პროკურატურის განცხადებით, პროკურორებმა და უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის (SBU) მთავარმა საგამოძიებო დეპარტამენტმა საკმარისი მტკიცებულებები მოიპოვეს, რის საფუძველზეც იულია მენდელს სახელმწიფო ღალატსა და რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის გამართლებაში ეჭვმიტანილის სტატუსი მიენიჭა. პროკურატურის მტკიცებით, მენდელი **„საკუთარ საჯარო სტატუსსა და სახელმწიფო კომუნიკაციების სფეროში მიღებულ გამოცდილებას იყენებდა აგრესორი სახელმწიფოსთვის ხელსაყრელი საინფორმაციო ნარატივების გასავრცელებლად, რომელთა მიზანი უკრაინის დისკრედიტაცია და მისი საერთაშორისო მხარდაჭერის შესუსტება იყო“.**

გბოლო წლებში მენდელი უკრაინაში მიმდინარე ომისა და კიევის ხელისუფლების ერთ-ერთ თვალსაჩინო კრიტიკოსად ჩამოყალიბდა.

თუმცა, მიუხედავად მედიაში გავრცელებული ცნობებისა, მენდელისთვის სახელმწიფო ღალატის ბრალდება ოფიციალურად ჯერ არ წარუდგენიათ. პროკურატურამ იგი ეჭვმიტანილად ცნო და ამის შესახებ დოკუმენტიც გაუგზავნა, რაც უკრაინის კანონმდებლობით წინასასამართლო პროცედურას წარმოადგენს და ბრალის ოფიციალური წარდგენისგან განსხვავდება. პროკურატურის განცხადებით, ეჭვის საფუძვლად გამოყენებულ მასალებს შორის შედის მენდელის საჯარო გამოსვლები უცხოურ მედიასა და სოციალურ ქსელებში. უწყება განსაკუთრებით გამოყოფს ამერიკელ ჟურნალისტ ტაკერ კარლსონთან ინტერვიუს, რომელშიც მენდელმა განაცხადა: **„ვფიქრობ, უკრაინა გაქრობის ზღვარზეა“ და „ხედავთ, ჩემი ერი დეგრადირდება“.**

გამოძიების მასალების მიხედვით, მენდელი ასევე ამტკიცებდა, რომ უკრაინაში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება არ არსებობს. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: **„სიტყვის თავისუფლება არ არსებობს. ძვეყანა აკრძალვებით არის სავსე. ყველაფერი აკრძალულია“** და არსებული ვითარება საბჭოთა კავშირს შეადარა.

**მენდელი ტაკერ კარლსონის გადაცემაში 11 მაისს გამოჩნდა ეპიზოდში სათაურით: „ზელენსკის პრესმდივანი ყველაფერს ამხელს: კოკაინი, მიჩქმალული ფაქტები და მთავარი დაბრკოლება მშვიდობის გზაზე“.**

მისი თქმით, ამ ინტერვიუს შემდეგ უსაფრთხოების დაცვის მიზნით საზღვარგარეთ ცხოვრობს. მენდელის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დოკუმენტი დაუსწრებლად გაიცა, ხოლო უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ მის უკრაინაში დაბრუნებას შეეცდება. 13 სექტემბერს ზელენსკიმ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება აამოქმედა, რომლის საფუძველზეც სანქციები 10 პირს დაუწესდათ, მათ შორის იულია მენდელს. სანქცირებულთა სიაში ის ერთადერთი უკრაინის მოქალაქე იყო, დანარჩენები რუსეთის მოქალაქეები იყვნენ.

25 სექტემბერს მენდელი კვლავ გამოჩნდა ტაკერ კარლსონის გადაცემაში, ამჯერად ეპიზოდში სახელწოდებით: **„ზელენსკის პრესმდივანი ყველაფერს ამხელს: სისხლიანი ფული, ფარული მოსმენები და ქალების სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხი“.**

„ხალხის მსახური“ ისევ კორუფციულ სკანდალშია. უმაღლესმა ანტიკორუფციულმა სასამართლომ გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს ანტონ კოვალსკის დაავალა, რომ საპარლამენტო შრაქცია „ხალხის მსახურის“ ხელმძღვანელის დავით არახამიას შესაძლო დანაშაულის შესახებ ცნობა წინასწარი გამოძიების ერთიან რეესტრში დაარეგისტრიროს. შპრაინის ანტიკორუფციულმა ცენტრმა 19 ოქტომბერს გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყების მიზნით განცხადებით მიმართა.

**კერძოდ, საქმე ეხება დავით არახამიას მიერ უკრაინის უმაღლეს რადაში ხმების სავარაუდო მოსყიდვას. უკრაინის ანტიკორუფციული ცენტრი აცხადებს, რომ ქვეყნის უმაღლესი რადას დეპუტატის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მხოლოდ გენერალურ პროკურორს შეუძლია. ცნობისთვის, 2025 წლის დეკემბერში უკრაინის ეროვნულმა ანტიკორუფციულმა გიუროომ და სპეციალიზებულმა ანტიკორუფციულმა პროკურატურამ განაცხადეს, რომ გამოძიება ჩაატარეს და მოქმედი დეპუტატებისგან შემდგარი ჯგუფი გამოავლინეს.**

ჩატარებული გამოძიების თანახმად, ჯგუფის წევრები უკრაინის უმაღლეს რადაში ხმის მიცემის სანაცვლოდ თანხებს სისტემატურად იღებდნენ. სპეციალიზებულმა ანტიკორუფციულმა პროკურატურამ ქრთამის აღების საქმეზე ბრალი ხუთ დეპუტატს წარუდგინა. **პროკურატურის თქმით, ქრთამის ოდენობა 2 000-დან 20 000 დოლარამდე იყო. ქრთამის აღების საქმის ფარგლებში, 2025 წლის ბოლოს, ჩხრეკა დავით არახამიას თანაშემწის სახლშიც ჩატარდა.**

რაც შეეხება **არახამიას,** რომელიც 2025 წელს გადაურჩა დაკავებას, ახლა საქმე გაცილებით მასშტაბურია. **ვოლოდიმირ ზელენსკის „ხალხის მსახურის“** ფრაქციის ლიდერი **დავით არახამია** ფიგურირებს უმაღლეს რადაში დეპუტატთა ხმების ყიდვაში. სასამართლო სხდომაზე, მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ არახამია უმაღლეს რადაში კანონმდებლებს საჭირო გადაწყვეტილებების სანაცვლოდ კონვერტებით ურიგებდა ფულს. მოსამართლემ წარმოდგენილი მტკიცებულებები დამაჯერებლად მიიჩნია და მმართველი პარტიის ლიდერისა და ზელენსკის უახლოესი გარემოცვის წევრის მიმართ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დაავალა.

ასევე, დასრულდა კიდევ ერთი მასშტაბური გამოძიება: ანტიკორუფციულმა სტრუქტურებმა ენერგეტიკის სექტორში ის კორუფციული სქემა გაშიფრეს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ზელენსკის უახლოეს გარემოცვას. საქმეში ფიგურირებენ სახელმწიფო კონცერნ „ენერგოატომის“ მაღალჩინოსნები, ყოფილი მინისტრები და პრეზიდენტის ბიზნესპარტნიორი, სტუდია „კვარტალი 95-ის“ თანამფლობელი, **ტიმურ მინდიჩი**. გამოძიების ვერსიით, ქრთამის სახით მიღებულმა და გათეთრებულმა თანხამ 120 მილიონ დოლარს გადააჭარბა. როგორც ჩანს, დანაშაულებრივი წრე დიდია და მასშტაბური გამოძიება ადასტურებს იმას, რომ ზელენსკის გარშემო წრე ვიწროვდება. უმაღლესი რადა არ არის ერთადერთი ორგანო, რომელიც ომის პარალელურად ჩართულია კორუფციაში. ანალოგიური და გაცილებით მასშტაბურია ძალოვანი უწყების ჩართულობა კორუფციაში. შსს, სუს-ი, პროკურატურა, სასამართლო და უმაღლესი რადა – უკრაინაში დანაშაულებრივ სინდიკატს კრიმინალები მაღალჩინოსნებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ.





**ახლა მნიშვნელოვანია, რამდენად გაბედავს გამოძიება უფრო შორს წასვლას, ანუ არახამიას შემდეგ მიადგება თუ არა ვოლოდიმირ ზელენსკის, რომლის მარჯვენა ხელიც არის არახამია და სწორედ ის განაგებს ე.წ. სალაროს**

# კიევი შავბნელ ბიზნეს-ცენტრად გადაიქცა!

## კორუფცია ნარკოტიკებით, იარაღით და ადამიანებით ვაჭრობა – არახამიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

**ჯგუფი აკონტროლებდა თაღლითურ ქოლ-ცენტრებს, ყიდდა ნარკოტიკებს, მფარველობდა არალეგალურ ბიზნესს, აყალბებდა ვალუტას და უკანონოდ აწარმოებდა თამბაქოს. ქრთამის აღება, გამოძალვა, ფულის გათეთრება, ადამიანების გატაცება და წამება – ქსელის ამ და სხვა მეთოდებს ახლა უკრაინის ანტიკორუფციული უწყებები იძიებენ და ყველა კვალი არახამიასთან მიდის.**

სპეცოპერაცია უკრაინაში გამთენიისას დაიწყო: უკრაინის ანტიკორუფციული პროკურატურისა და სპეციალიზებული ანტიკორუფციული გიუროს აგენტები უსაფრთხოების სამსახურის გავლენიანი გენერლის, სერჰი დუკას რეზიდენციასთან მობილიზდნენ. მედიის ცნობით, ჩხრეკისას გენერალი ანტიკორუფციული გიუროს დეტექტივებს იარაღით დაემუქრა. ის მოგვიანებით აიყვანეს. თანამდებობიდან გაათავისუფლეს მისი უწყების კიდევ ორი მაღალჩინოსანი: შიდა უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსი ანტონ კრავჩუკი და სახელმწიფოებრიობის დაცვის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ოლექსანდრ კოვალჩუკი.

**უკრაინული მედია წერს, რომ სინდიკატი მკაცრი იერარქიით იმართებოდა და კონსპირაციული სახელებით მოქმედებდა. ხელმძღვანელი, წლების განმავლობაში ძებნილი პირი „პრიმინალი“, თანამზრახველ „მექსიკელთან“ ერთად წარმართავდა პროცესებს. მათ ძალოვანი სტრუქტურები მფარველობდნენ: პოლიციის მაღალჩინოსანი „პრაისი“ ქოლ-ცენტრებს კურირებდა, „კონსულტანტი“ მათ უსაფრთხოებასა და კოორდინაციას უზრუნველყოფდა, ხოლო გენერალმაიორი „აპიმი“ სინდიკატის შეუმჩნეველ ფუნქციონირებაზე აგებდა პასუხს. ფარულ აუდიოჩანაწერებში ისმის, თუ როგორ აორგანიზებენ „პრიმინალი“ და „მექსიკელი“ ფულის გათეთრებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის საკითხებზე დავით არახამიასთან სამუშაო შეხვედრას.**

კორუფციაში მხილებული არახამია ამჟამად აშშ-შია. თეთრ სახლში გამართულ შეხვედრაზე აშშ-ის პირველმა ლედიმ **მელანია ტრამპმა** უკრაინული და რუსული დელეგაციების წევრებს უმასპინძლა და გადასცა წერილები, რომლებიც ლიდერებს უნდა ჩაუტანონ. შეხვედრას უკრაინის მხრიდან ესწრებოდნენ „ხალხის მსახური“ ფრაქციის ხელმძღვანელი **დავით არახამია** და ომბუდსმენი დმიტრო ლუბინეცი. დაკავების მოლოდინში მყოფი არახამია იძულებულია მელანია ტრამპის წერილი ჩაუტანოს ზელენსკის. ჯერჯერობით, უკომენტაროდ ტოვებს ბრალდებას, თუმცა უკრაინული მედია წერს, რომ საქმის სიმძიმიდან გამომდინარე, არახამიას გაუჭირდება თავის მართლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ე.წ. ხელშეუხებლობის ეპოქა დასრულდა.



ანალიტიკოს **გია აბაშიძის** შეფასებით, საინტერესოა, „დიჯეი ბრაუნის“ სცენიდან ჩამოსვლის დროც დადგა, თუ უკრაინაში მორიგი პოლიტიკური სპექტაკლისთვის როლებს უბრალოდ თავიდან ანაწილებენ? როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, როდესაც პოლიტიკურ შოუბიზნესში მთავარ როლებს პრინციპებისგან დაცლილი და საკუთარ ინტერესებზე მორგებული პერსონაჟები ასრულებენ, სცენარის განვითარება, როგორც წესი, ძნელი გამოსაცნობი აღარ არის.

**„უკრაინის მმართველი პარტიის – „ხალხის მსახურის“ ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა, უსამშობლო დავით არახამია, შესაძლოა, თავად აღმოჩნდეს იმ პროცესების ეპიცენტრში, რომელთა შესახებაც აქამდე მხოლოდ სხვები საუბრობდნენ. უკრაინის უმაღლესმა ანტიკორუფციულმა სასამართლომ გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს დაავალა, წინასასამართლო გამოძიებათა ერთიან რეესტრში შეიტანოს ცნობები არახამიას შესაძლო დანაშაულის ნიშნების შესახებ.**

**მაშინ, როდესაც უკრაინა უმძიმეს განსაცდელშია, ადამიანები სიცოცხლეს სწირავენ, ქვეყანა კი ნგრევისა და განადგურების წინაშე დგას, ხელისუფლების კულუარებში კვლავ აქტუალურია ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: ვინ და როგორ აკონტროლებს ფინანსურ ნაკადებსა და პოლიტიკურ ბერკეტებს? როგორც ჩანს, იწყება ურთიერთბრალდებების, პასუხისმგებლობის ერთმანეთზე გადაბარებისა და პოლიტიკური გადარჩენისთვის ბრძოლის ახალი ეტაპი. პოლიტიკისთვის ეს უცხო სცენარი არ არის: გუშინდელი მოკავშირეები ხვალ შესაძლოა ერთმანეთის წინააღმდეგ ყველაზე მნიშვნელოვან მოწმეებად იქცნენ.**

**და მაინც, რასთან გვაქვს საქმე – ზელენსკის გარემოცვაში მორიგ პოლიტიკურ გადალაგებასთან, სადაც პერსონაჟები იცვლებიან, სცენარი კი უცვლელი რჩება, თუ პროცესთან, რომელსაც რეალური პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს? დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ამ მინძური პოლიტიკური სპექტაკლის ყველაზე საინტერესო ნაწილი, შესაძლოა, სწორედ ფინალი აღმოჩნდეს: ვინ დატოვებს სცენას, ვინ გააგრძელებს თამაშს და, რაც მთავარია, როგორი იქნება ეპილოგი“,** – აცხადებს **გია აბაშიძე.**

პოლიტოლოგ **სოსო მანჯავიძის** განცხადებით, კორუფციული სკანდალი უკრაინისთვის ჩვეულებრივი, ტიპური მოვლენაა და ცნობილია, რომ უკრაინა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებულია, რომელიც წარმოადგენს ფულის რეცხვის, ნარკოტიკებით, იარაღით, ადამიანებით ვაჭრობის და სხვა ასეთი ბნელი ბიზნესების ცენტრს.

**„სხვათა შორის, ქოლ-ცენტრები მთავარი ბიზნესია, ყველაზე ბევრი ქოლ-ცენტრი უკრაინაშია, ასევე ბიოლაბორატორია და ა.შ. ანუ, ეს ქვეყანა გადააქციეს ბნელი ბიზნესების წარმოების ცენტრად. უკრაინაში კორუფცია ატარებს საერთაშორისო ხასიათს. გვახსოვს ის სკანდალი, როდესაც უკრაინიდან ფინანსდებოდა დემოკრატიული პარტია და ა.შ. შესაბამისად, ეს უნდა განვიხილოთ საერთაშორისო ჭრილში და იგივე ეს სკანდალები, იგივე არახამიას მიმართ დაწყებული გამოძიება.**



**უკრაინაში ჭიდაობს ორი გავლენიანი – ამერიკული და ბრიტანული დაზვერვა, რომლებიც მოწინააღმდეგის აგენტების წინააღმდეგ იწყებენ მოქმედებას და ვინც აჯობებს ამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში, ცდილობენ იმის მომხრეები დასაჯონ. ერთ-ერთი ასეთი არის არახამია. გასაგებია, რომ კორუფცია საყოველთაოა, მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვებული ვინც არის, ის ამ კორუფციის ბრალდებით ნეიტრალიზაციას უკეთებს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. ეს არის არსი“,** – აღნიშნა **სოსო მანჯავიძემ.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# ეს თითქოს გუშინ იყო...



პარლამენტარიზმის ჩასახვის რევოლუციურ ხანაში, რუსეთში, ორი გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი მოღვაწეობდა. ამ ორმა მენშევიკმა დიდი როლი ითამაშა რუსეთისთვის იმ საბედისწერო დროს. ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძისგან განსხვავებით, ძალიან გამოირჩეოდა იმ პლეადის რუს პოლიტიკოსთა შორის. იგი ნათელი გონებითა და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებული ქარიზმატული პიროვნება იყო.

# უგანათლებულესი მენშევიკი, რომელმაც ლენინი დაიცვა...

**იმ შფოთიან დროს, თანდაყოლილი დივლომატიური ნიჭის წყალობით, ის სამკვრდო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული მხარეების შეერიგებას ახერხებდა. რუსეთის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი პაველ მილიუკოვი მის იდეოლოგიურ ოპონენტს ირაკლი წერეთელს, ასე ახასიათებდა: პარტიულ ურთიერთობათა უგადლო მცოდნე და აზრის მკაფიოდ გამოთქმის დიდოსტატი, რომელსაც თავისი პარტია ურთულესი სიტუაციებიდან გამოჰყავდა ხოლმე. ირაკლი წერეთელი ცნობილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის ოჯახში დაიბადა 1881 წელს. დედამისი, ოლიმპიადა ნიკოლაძე, ცნობილი ქართველი განმანათლებლის ნიკო ნიკოლაძის და გახლდათ. 1900 წელს, თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ირაკლი წერეთელი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.**

მოსკოვში სწავლისას, ის მარქსისტულ პოლიტიკურ მოძღვრებას გაეცნო. ახალგაზრდა ირაკლი მოსკოვის სტუდენტური ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში. მოგვიანებით კი, რუსეთის სოციალ-დემოკრატთა წრეს შეუერთდა. 1902 წლის თებერვალში წერეთელი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ მალე ამნისტია შეეხო და, ციხიდან გათავისუფლებული, სამშობლოში დაბრუნდა, სადაც სოციალ-დემოკრატიულ-პარტიაში გაწევრიანდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკებად და ბოლშევიკებად გაყოფის შემდეგ, ქართველი მარქსისტები, რომლებიც უკვე დიდ მოძრაობას წარმოადგენდნენ, თითქმის ერთხმად, მენშევიკების მხარეს დადგნენ.

ირაკლი წერეთელი პარტიის ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს და ქართველი მარქსისტების ყოველკვირეული გაზეთის, კვალის, რედაქტორად დანიშნეს. ის ხელახლა დააპატიმრეს, მაგრამ მიძამისის ნიკო ნიკოლაძის ჩარევით, ემიგრაციაში წასვლის უფლება მისცეს. წერეთელი ბერლინში დასახლდა და იურიდიულ ფაკულტეტზე გაანაგრძო სწავლა. 1905 წელს მონაწილეობა მიიღო ჟენევაში გამართულ სრულიად რუსეთის მენშევიკების კონფერენციაში. იმავე წლის შემოდგომაზე, ტუბერკულოზით დაავადებული, რუსეთში დაბრუნდა. 1907 წელს, წერეთელი სახელმწიფო დუმის წევრად აირჩიეს. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში, ის პარტიის ფრაქციას ედგა სათავეში. მალე ირაკლი წერეთელმა, როგორც დუმის აგრარული-კომისიის წევრმა, დიდი გავლენა მოიპოვა, მაგრამ როცა ნიკოლოზ მეორემ დუმა დაითხოვა, ის დააპატიმრეს და ისევ ციმბირში გადაასახლეს, სადაც პოლიტიკური აქტიურობა განაგრძო. თებერვლის რევოლუციას ის გადასახლებაში შეხვდა, სადაც ქალაქ ირკუტსკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ჩამოყალიბებას უხელმძღვანელა.

მალე პეტროგრადში დაბრუნდა, სადაც, კარლო ჩხეიძესთან ერთად, ქალაქის საბჭოს აღმასკომის წამყვანი ფიგურა გახდა და, ცოტა ხანში, რუსეთის მენშევიკების აღიარებულ ლიდერად იქცა. ეს ის დროა, როცა, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის გადადგომის შემდეგ, რუსეთს დროებითი მთავრობა მართავდა. თავიდან, ირაკლი წერეთელი წინ აღუდგა სოციალისტების დროებით მთავრობაში გაწევრიანებას, მაგრამ მის მიერ მკაცრად გაკრიტიკებული ლენინის ეგრეთწოდებული აპრილის-თეზისების გამოქვეყნების შემდეგ, დროებითი მთავრობის მხარდაჭერა სწორ ნაბიჯად მიიჩნია. ჯერ, ფოსტისა და ტელეგრაფის სამინისტროს ედგა სათავეში. შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. წერეთელი დროებითი მთავრობის იმ დელეგაციის წევრი იყო, რომელმაც უკრაინის ცენტრალური რადას ავტონომია აღიარა.

მისი კეთილშობილება ოპონენტებთან ურთიერთობებშიც მჟღავნდებოდა. იმდენი



ირაკლი წერეთლის საფლავი ლევილში

ქნა, რომ ლევ ტროცკი ციხიდან გამოაშვებინა. როცა გერმანიის ხელისუფლების დახმარებით, დაჯავშნილი მატარებლით, ლენინი პეტროგრადში ჩავიდა, ამ ამბავმა დიდი ხმაური გამოიწვია. ის გერმანიის აგენტობაში დაადანაშაულეს. მხოლოდ ირაკლი წერეთელი იცავდა ლენინს, მის მთავარ პოლიტიკურ ოპონენტს. მან, კარლო ჩხეიძესთან ერთად, მაშინდელი მასმედია დაარწმუნა, რომ ეს სკანდალური ამბავი ლენინზე არ გამოექვეყნებინა. დრო გავიდა, და ამ საქციელის გამო, გაქცეული დროებითი მთავრობის წევრებმა მას მწარედ უსაყვედურეს. მათი აზრით, რომ არა წერეთლის მხარდაჭერა ლენინის მიმართ, კომუნისტების ბელადის ავტორიტეტი შეილახებოდა და, შესაძლოა, ოქტომბრის რევოლუცია სულაც არ მომხდარიყო.

**1917 წლის 4 ივნისს, სრულიად რუსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე, წერეთელსა და ლენინს შორის, სიტყვიერი პაექრობა მოხდა.** წერეთელმა ხმამაღლა განაცხადა:

**ამჟამად, რუსეთში არ არის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც იტყვის, მოგვეცით ძალაუფლება, თქვენ წადით და ჩვენ დავიჭერთ თქვენს ადგილსო, რაზეც ლენინმა უპასუხა: არის ასეთი პარტია, ეს გოლშევიკების პარტიაა!**

საბჭოთა-კავშირში, ლენინის ეს რეპლიკა – Есть такая партия, партия большевиков – მოარულ ფრაზად იქცა. ირაკლი წერეთლის სიტყვა და არგუმენტები კი, დავიწყებას მიეცა. ის უარყოფითად იყო განწყობილი ოქტომბრის რევოლუციის მიმართ. ასე ამბობდა, რუსეთში მხოლოდ ერთი რევოლუცია მოხდა, და ეს თებერვლის რევოლუცია იყოო.

წერეთელი კიდევ ორჯერ დააპატიმრეს. ის რუსეთის დამფუძნებელი კრების აქტიური მონაწილე იყო, რომელიც, 1917 წლის ოტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად და მმართველობის ფორმის დასადგენად შეიქმნა, მაგრამ რუსეთის ისტორიაში პირველი საყოველთაო, თავისუფალი და მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეული ის პარლამენტი ბოლშევიკებმა მოწვევიდან, სულ რაღაც 13 საათში, ძალის გამოყენებით დაშალეს, რის შემდეგ, ირაკლი წერეთელი, სამუდამოდ საცხოვრებლად, საქართველოში დაბრუნდა, სადაც დამოუკიდებელი რესპუბლიკის ერთერთი ლიდერი გახდა და, საქართველოს ეროვნულ საბჭოში, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ჩაუდგა სათავეში.

**ის იყო საქართველოს წითელი გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ორგანიზატორი, არჩეული იყო პირველი სამხედრო შტაბის წევრად. 1918 წლის თებერვლიდან, იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. მან ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1920 წლის დეკემბრიდან, წერეთელი საფრანგეთში დის სანახავად იმყოფებოდა. მან, სწორედ, იქ გაიგო საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის ამბავი, და, მოგვიანებით, ემიგრაციაში მყოფ მთავრობას შეუერთდა. ის აგიტაცია-პროპაგანდის ცენტრალური კომისიის წევრად აირჩიეს, რომლის მიზანი, ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროპაგანდა იყო. საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად, ირაკლი წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში. 1926 წელს, მან სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ადვოკატობით ირჩენდა თავს.**

წერეთელმა ხელი შეუწყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული არქივის გადარჩენას. 1934 39 წლებში, ემიგრაციაში, ის ოპოზიციურ გაზეთის გამოსაცემდა, სახელწოდებით, „სოციალისტური აზრი“, მაგრამ მუდმივი იდეოლოგიური უთანხმოების გამო, თანაპარტიელებთან ურთიერთობა გაწყვიტა. შედეგად, პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა. მან საშინლად განიცადა ერთადერთი პოლიტიკური მეგობრის კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ირაკლი წერეთელი საცხოვრებლად ნიუიორკში გადავიდა, სადაც კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების დაკვეთით, მემუარებზე მუშაობდა. მის კალამს ეკუთვნის წიგნი, სათაურით, **„ძალაუფლების კრიზისი“. მისი** ხელშეწყობითა და მონაწილეობით დაარსდა რადიო თავისუფლება.

**ირაკლი წერეთელი 1959 წელს, 78 წლის ასაკში, ქალქ ნიუ-იორკში გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად, საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, მისი ფერფლის ამერიკიდან გადმოტანა მხოლოდ 1973 წელს მოხერხდა.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

ნიკოლოზ მეტრეველი:

# ბრიუსელს ალარ დარჩა ბერკეტი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ კურსს შეაცვლევინებს





**ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო დამძიმების ფონზე, პოლიტიკური ანალიტიკოსი ნიკოლოზ მეტრეველი Forge-სთან ინტერვიუში მკაცრად აფასებს დასავლური სტრუქტურების მიდგომებს. მისი განცხადებით, ბრიუსელის მხრიდან სანქციებით მანიპულირება, უვიზო მიმოსვლის გაუქმებით მუქარა და დამრიგებლური ტონი საქართველოს პოლიტიკურ კურსს ვერ შეაცვლევინებს. რესპონდენტი მიიჩნევს, რომ გეწოლის ენა მხოლოდ საგოგადოებაში ანტიევროპულ განწყობებს აძლიერებს და ქართველ ხალხს ევროკავშირს აშორებს, ხოლო დიპლომატიური კორპუსის ნაწილის ქმედებები ვენის კონვენციისა და პროტოკოლის შარგლებს სცდება.**

**– რეალურად რა ბერკეტები დარჩა ახლა ბრიუსელს თბილისის წინააღმდეგ, იქნებოდა ეს სანქციების გაფართოება, კანდიდატის სტატუსის გაყინვა თუ უვიზო მიმოსვლის თემა?**

– ბრიუსელს აღარ დარჩა ისეთი ბერკეტი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ კურსს შეაცვლევინებს. სანქციების გაფართოება თუ კანდიდატის სტატუსით მანიპულირება ამ მიზანს ვერ მიაღწევს.

მათ ბოლო იმედად უვიზო მიმოსვლის თემა მიაჩნიათ. თუ ფიქრობენ, რომ მისი გაუქმებით საქართველოს საკუთარ ნებას მოახვევენ, შეუძლიათ ეს ნაბიჯიც გადადგან. მოქალაქეებს გადაადგილება გაურთულდებათ, მაგრამ ქვეყნის სუვერენიტეტისა და მშვიდობის საკითხზე საზოგადოების პოზიცია ამით ვერ შეიცვლება. საქართველოს არჩევანი უვიზო მიმოსვლის სანაცვლოდ არ იყიდება.

**– რამდენად მუშაობს ეს პოლიტიკური შანტაჟის ინსტრუმენტები იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელმაც ევროინტეგრაცია არა ევროპული მიუროკრატიის განწყობებით, არამედ რეალური რეფორმებით დაიმსახურა?**

– ბრიუსელიდან გაუთავებელი მუქარა და ზეწოლის ენით საუბარი მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას აჩენს ევროკავშირის მიმართ. ქვეყანას, რომელმაც ევროპული ინტეგრაციის გზაზე რეალური რეფორმები გაატარა, ასეთი დამოკიდებულება სამართლიანად აღიზიანებს.

თუ ასე გააგრძელებენ, შესაძლოა, საქმე იქამდე მივიდეს, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა თავად თქვას უარი ევროკავშირში გაწევრიებაზე. მაშინ ეს საკითხიც საზოგადოების გადაწყვეტილებით დაიხურება. ბრიუსელში უნდა დაფიქრდნენ, საკუთარი განცხადებებით რამდენად აშორებენ ქართველ ხალხს ევროკავშირს.

**– ევროკომისარ მარტა კოსის განცხადებამაც კი აჩვენა, რომ წევრ ქვეყნებს შორის სანქციებზე კონსენსუსი არ არსებობს. რამდენად აყენებს ზიანს თავად ევროკავშირის იმიჯს ისეთი უსამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც საზოგადოებაში ანტიევროპულ განწყობებს აძლიერებს და არსებობს თუ არა ევროპაში საღი აზრი, რომელიც ამ რადიკალურ ზომებს წინ აღუდგება?**

– მარტა კოსი არის ძალიან საეჭვო წარსულის, უაღრესად კომიკური ფიგურა, ისევე, როგორც კაია კალასი, რომელთა განცხადებებიც ევროკავშირის ხელმძღვანელობის სისუსტესა და არათანმიმდევრულობას აჩვენებს. ბრიუსელმა შესაძლოა კიდევ მიიღოს შეზღუდული ეფექტის მქონე სანქციები, მაგრამ ამით საქართველოს გადაწყვეტილებებს ვერ შეცვლის. სამაგიეროდ, ყოველი უსამართლო ნაბიჯი თავად ევროკავშირის ავტორიტეტს აზიანებს და ქართველ საზოგადოებაში გაუცხოებას აძლიერებს. მათ იმაზეც უნდა იფიქრონ, რომ სანქციებს მოჰყვება სომეტრიული რეაგირება და საქართველოში მათი აგენტები კიდევ უფრო მკაცრად დაისჯებიან.

ევროპაში საღი აზრის არსებობა სწორედ იმით უნდა გამოჩნდეს, რომ ვინმე ამ უშედეგო დაპირისპირებას წინ აღუდგეს. საქართველოსთან მუქარის ენით საუბარი პოლიტიკურ არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს. ვფიქრობ, ევროპელი ამომრჩეველიც სულ უფრო მკაცრად მოსთხოვს პასუხს საკუთარ ხელმძღვანელებს და ჩამოაშორებს ხელისუფლებას კორუმპირებულ პოლიტიკანებს, რომლებიც პრობლემების მოგვარების ნაცვლად ახალ კონფლიქტებს ქმნიან.

ესაუბრა

**ლიკა გერიკაშვილი**

# საბაზრო ეკონომიკის საოცრებანი




## ინფლაცია კიდევ გაიზარდა და სახიფათო ნიშნულს მიუახლოვდა

**ინფლაციამ მიზნობრივ მაჩვენებელს უკვე ორჯერ გადააჭარბა. რამდენადაც თვითდინებაზე მიშვებული პროცესის შედეგად ვითარება სულ უფრო მძიმდება, ეროვნულ ბანკს მკვეთრი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. ვარაუდობენ, რომ დეკემბერში რეფინანსირების განაკვეთი გაიზრდება, მაგრამ მხოლოდ ეს ნაბიჯიც არ იქნება საკმარისი მზარდი ფასების მოსათოკად.**

„საქსტატის“ ოქტომბრის მონაცემები აჩვენებს, რომ **წლიურმა ინფლაციამ 5.9%-ს მიაღწია. მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ტრანსპორტის სექტორი, სადაც ფასები 21.9%-ით გაიზარდა (მათ შორის, საწვავისა და ექსპლუატაციის ხარჯები 30%-ს აჭარბებს). საცხოვრებელმა და კომუნალურმა ხარჯებმა 10.1%-იანი მატება აჩვენა, მედიცინამ – 8.4%. სურსათი, მიუხედავად ცალკეული პროდუქტების მკვეთრი გაძვირებისა (მაგალითად, თევზეული – 20.2%, ხორცი – 7.6%), ჯამურად 3.1%-ით გაძვირდა. ამასთან, „საქსტატის“ ინფორმაციით, განათლების ჯგუფში ფასები 12%-ით შემცირდა, რაც ძირითადად უმაღლესი განათლების 32.9%-ით გაიაფებამ განაპირობა.**

რაც შეეხება წლიურ ინფლაციასთან დაკავშირებულ მოლოდინს, საქართველოს საბანკო ასოციაციის ანალიტიკური დირექტორი **დავით რუსია** მიიჩნევს, რომ წელს ფასების ზრდის საერთო დონე 5.2-5.4%-ის ფარგლებში იქნება.

**„საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა სწორედ ფასების საერთო დონის კონტროლია. ინფლაციას 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებელი აქვს, მაგრამ წლის დასაწყისშივე ჩანდა, რომ ინფლაციის მაჩვენებელი მაღალი უნდა ყოფილიყო. თუ ეროვნული ბანკის წინა პროგნოზი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მალე ამოწურვას და ენერგომატარებლების გაიაფებას მოიაზრებდა, ახლა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შესაძლო გახანგრძლივების გამო, ვითარება შეიცვალა. თუ ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს დავესესხებით, მათ შორის ADB-ს, მსოფლიო ბანკს, სავალუტო ფონდს, ინფლაცია წელს 5.2-5.4%-ის ფარგლებში იქნება. 2027 წელთან დაკავშირებით არის მოსაზრება რომ 3.1%-იანი მაჩვენებლით დაიხურება, თუმცა წლის პირველ ნახევარშიც ანალოგიურად მაღალი ფასების ტყვეობაში ვიქნებით“,** – აღნიშნა **დავით რუსიამ.**

მანვე ყურადღება გაამახვილა მკაცრ მონეტარულ პოლიტიკაზე და იქვე ხაზი გაუსვა, რომ რეფინანსირების განაკვეთი გაცილებით მაღალ ნიშნულზე იყო ქვეყანაში.

**„როდესაც მკაცრ მონეტარულ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, უფრო მეტიც გვინახავს – 11%-იანი განაკვეთიც იყო. ასე რომ, დღევანდელ მონეტარულ პოლიტიკას შევგვიძლია ზომიერად მკაცრი ვუწოდოთ. ეროვნულ ბანკს ძალიან შეუძლია ამ ინფლაციის მართვა. მათ მონეტარული ინსტრუმენტები გამოიყენონ, ასევე ფიზიკური პირების დაკრედიტებასთან დაკავშირებით ზღვარი შეცვალონ და ისინი კარგად ემზადებიან იმისთვის, რომ 2027 წლისთვის, ინფლაციასთან გამკლავება უფრო ქმედითი და შესაძლებელი გახდეს“,** – აღნიშნა **დავით რუსიამ.**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 21 ოქტომბრის სხდომაზე ინფლაციის პროგნოზი გაზარდა, თუმცა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.25%-ზე უცვლელად შეინარჩუნა, სავარაუდოდ, დროებით. „თიბისი კაპიტალის“ შეფასებით, წინა სხდომებთან შედარებით, პოლიტიკის გამკაცრების არგუმენტები საგრძნობლად გაძლიერებულია, რაც დეკემბერში რეფინანსირების განაკვეთის 8.5%-მდე აწევის ალბათობას ზრდის.

ცნობისთვის, მაკროეკონომიკური განახლება 2 ნოემბერს გამოქვეყნდა. „საქსტატის“ მიერ 3 ნოემბერს გამოქვეყნებული მონაცემით კი ოქტომბერში წლიური ინფლაცია 5.9%-მდე გაიზარდა. საინვესტიციო ბანკში ეროვნული ბანკის მხრიდან შესაძლო გამკაცრების მთავარ მიზეზად შიდა ინფლაციური წნეხის მატებასა და გლობალურად გამკაცრებულ ფინანსურ პირობებს ასახელებენ. ოქტომბერში აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა განაკვეთები უცვლელად დატოვეს, თუმცა საერთაშორისო ბაზრებზე დეკემბერში ორივე ცენტრალური ბანკის მხრიდან განაკვეთების ზრდას მოელიან. კაპიტალი წერს, რომ სექტემბერში წლიური ინფლაცია 5.6%-ზე შენარჩუნდა, თუმცა ფასების ზრდის ძირითადი ტენდენცია გაძლიერებულია.

**„ინფლაციის ძირითადი ტენდენციის საზომების უმეტესობა 2023 წლის დასაწყისის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულზეა. განსაკუთრებით გაძლიერებულია მომსახურების გაძვირება, რაც მაღალი ინფლაციის შედარებით ხანგრძლივად შენარჩუნების რისკებს ქმნის. შემაკავებელი მიმართულებით მოქმედებს საქონლისა და საკვების ფასების ზრდის შენელება. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალური გაზრებიც. ოქტომბერში „ბრენტის“ ტიპის ნავთობის საშუალო თვიურმა ფასმა წლის მაქსიმუმს მიაღწია და ამუამად ერთი ბარელი, დაახლოებით, 105 დოლარის ფარგლებში მოძრაობს, რაც სცილდება საბაზრო სცენარით გათვალისწინებულ 80-85 დოლარიან ნიშნულს. ასევე გაზრდილია სურსათის გლობალური ფასების ინდექსი, თუმცა საგრძნობლად შემცირდა მარცვლეულის საერთაშორისო ფასი – ხორბალი, აგვისტოს პიკთან შედარებით, 20%-ზე მეტით გაიაფდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, დეკემბერში რეფინანსირების განაკვეთის 8.5%-მდე გაზრდის ალბათობა უკვე მაღალია“,** – აღნიშნა „თიბისი კაპიტალის“ მიმოხილვაში.

**ბექა დანელია**

# პირველი მერცხალი



**დაკარის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველომ პირველი მედალი ქვიშის ჭიდაობაში მოიპოვა. სალის სანაპიროზე, დავით მძევაშვილმა 60 კგ წონითი კატეგორიის ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში სენეგალელი ბაბაკარ მბაი 3:1 დაამარცხა.**

ეს მათი მეორე შეხვედრა იყო. ჯგუფის პირველ ტურში მძევაშვილი მბაისთან 1:5 დამარცხდა, შემდეგ უკრაინელ კირილ ნაჰირნისა და ანგოლელ დავიდ დეუსს მოუგო. ქართველმა C ჯგუფი მეორე ადგილზე დაასრულა და ნახევარფინალში საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით გავიდა.

ნახევარფინალში დავით მძევაშვილი ირანელ ამირალი დომირკოლაეისთან დამარცხდა, მბაი კი ვენესუელელ ვილფრედო როდრიგესთან. ასე შეხვდნენ ქართველი და სენეგალელი ერთმანეთს ბრინჯაოსთვის – რომელიც, საბოლოოდ, დავით მძევაშვილს ერგო. ოქროს მედალი კი როდრიგესმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში დომირკოლაეის სძლია.


ქვიშის ჭიდაობაში 80 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა ბოგდან კვანტალიანმა, რომელმაც ასპარეზობა ჯგუფურ ეტაპზე ერთი მოგებითა და ორი მარცხით დაასრულა.

დაკარის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე კრივში მეოთხედფინალის საგზური **ემილ ისმაილოვმა** მოიპოვა. დიამნიადიოში გამართულ მერვედფინალში ქართველი მოკრივე 55 კგ წონით კატეგორიაში დომინიკელ მაიკლ რეიესს შეხვდა.

ბრძოლა რეიესის უპირატესობით დაიწყო, თუმცა მესამე რაუნდში ინიციატივა ისმაილოვმა გადაიბარა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. საბოლოოდ, ხუთიდან ოთხმა მსაჯმა გამარჯვება ქართველს მიაკუთვნა – 4:1.

მეოთხედფინალში ისმაილოვი დღეს ლიბანელ რამზი ჰილალს შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში ქართველი მოკრივე მინიმუმ ბრინჯაოს მედალს დაიბევრებს.

# რაც კარგია, კარგია!..



**ამ დღეებში ქართულ წყალბურთში ისტორიული ფაქტი მოხდა – ქვეყნის ახალმა ჩემპიონმა აპოლომ ევროთასის გათამაშების მეორე ტურში ბერძნულ თითქმის სეხნიას – აპოლონს უმასპინძლა და დრამატულ ბრძოლაში პირველი გამარჯვება მოიპოვა – 21:20.**



**ევროლიგის მე-10 ტურში თორნიკე შენგელიას „დუგაი“ მის ყოფილ გუნდს, „ვირტუს ბოლონიას“ ესტუმრა და უპრობლემოდ – 93:75 დაამარცხა.**

# თორნიკე შენგელიას დიდებულება

„დუბაი“ მეტოქეს სამ პერიოდში საგრძნობლად აჯობა და მეოთხე პერიოდის მოგება იტალიურ კლუბს თამაშში გამარჯვებისთვის ბუნებრივია არ ეყო.

თორნიკე შენგელიამ 23 წუთი ითამაშა, ხსენებულ დროში კი 14 ქულა, 3 მოხსნა, 4 პასი და 1 დაფარება დააგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 6-დან 5 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

თუმცა, თორნიკესთვის მთავარი ამბები მატჩის დაწყებამდე მოხდა: ის „ვირტუსის“ დიდების დარბაზში შეიყვანეს და სიმბოლური საჩუქარიც გადასცეს. ფანებიც მას ოვაციებით დახვდნენ. შენგელია „ვირტუსში“ 2022-2025 წლებში თამაშობდა და იქ საჩემპიონო კვალი დატოვა.

„დუბაი“ 7 მოგებით და 3 წაგებით მეექვსე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 12 ნოემბერს, ლიდერ „ოლიმპიაკოსს“ ესტუმრება.

# უსაზღვრებო ფეხბურთი



**დღეს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის საინფარქტო გათამაშების დასკვნითი შეხვედრებისთვის მზადებას 3 დეგიუტანტით იწყებს: მეკარე ნოდარ ყალიჩავა, მცველი გიორგი მაისურაძე და ნახევარმცველი გიორგი მოისწრაფიშვილი.**

შეგახსენებთ, რომ 4 ტურის შემდეგ 2 ქულით ჯგუფის აუტსაიდერები ვართ და **„გ“ დივიზიონში** დაქვეითება გვემუქრება, ამიტომ გაგვაოცა სფფ-ს გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც 14 ნოემბერს ყოფნა-არყოფნის მატჩში ფავორიტ უნგრეთს თავდაპირველად გამოცხადებული ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენის ნაცვლად გაცილებით ნაკლები ტევადობის მიხეილ მესხის სტადიონზე ვუმასპინძლებთ.

ეს რომ გუნდის კაპიტან **ხვიჩა კვარაცხელიას** მიერ მიღებულ მძიმე ტრავმამდე მომხდარიყო, ვიფიქრებდით, რომ ჯვაროსანთა ლიდერის არყოფნის ფაქტორმა და კომერციულმა თვალსაზრისმა ერთად განსაზღვრა მაინც გაუმართლებელი არჩევანის გაკეთება – აქაოდა, მის გარეშე ბილეთების დიდი ნაწილის გაუყიდაობით ფედერაცია ზარალს ნახავდაო – მაგრამ, ჯერ ერთი, სატურნირო ვითარების გათვალისწინებით ხომ ბიჭებს არნახული მოტივაცია უმაგრებთ ზურგს, და მეორეც– უფსკრულში რომ არ გადაიჩეხონ, უთავოდ დარჩენილ ჯვაროსან მხედრებს ხომ სწორედ ახლა სჭირდებათ სავსე ტრიბუნების ქომაგობა? ასეა თუ ისე, ძალიან არ გვსურს ვირწმუნოთ კაპიტულანტური განწყობის გაფიქრებაც კი, მაგრამ ერთობ საჩოთირო ფაქტს რა ვუყოთ?

### საქართველოს ნაკრები

**მეკარეები:** მამარდაშვილი, გუგეშაშვილი.

**მცველები:** გოგლიჩიძე, საბონოვი, დვალი, გელაშვილი, ლოჩოშვილი, ტაბიძე, კაკაბაძე, აზაროვი.

**ნახევარმცველები-თავდამსხმელები:** მექვაბიშვილი, ქოჩორაშვილი, ლომინაძე, ალთუნაშვილი, ეგოიანი, ჩაკვეტაძე, დავითაშვილი, წიტაიშვილი, გულიაშვილი, კვერნაძე, ზივზივაძე, გაგუა, მიქაუტაძე.

**მთავარი მწვრთნელი** – რამაზ სვანაძე.


დავძენთ, რომ უღრმლო სეზონს უკრაინასთან თამაშით 17 ნოემბერს სლოვაკურ კოშიცეში დავხურავთ.

**სანაკრებო** პაუზის დაწყებამდე მორიგი საერთაშორისო გამოცდა ტოლ-სწორად ჩააბარა თბილისის იბერიამ, რომელმაც კონფერენს ლიგის ფაზის ეტაპის მე-3 ტურის შეხვედრა დანიაში მძაფრ ბრძოლაში დათმო ევროტურნირებში ჭიპმოჭრილ კოპენჰაგენთან – 1:2 **(ძაგანია).**

აღსანიშნავია, რომ ნებსით თუ უნებლიედ, ირლანდიელ მსაჯთა ბრიგადასთან ერთად, ამჯერად **ვარ**-მაც გვიმუხთლა, რომელმაც ჯერ პენალტით დაგვსაჯა, ხოლო შემდეგ გოლი გაგვიუქმა. 26 ნოემბერს **ლევან კორღალიძის** გაწვრთნილი 1-ქულიანი გუნდი ესპანურ ხეტაფეს უმასპინძლებს.

**მუნდიალის** დასკვნით შესარჩევ მატჩებამდე დროს უქმად არც **ავთანდილ ასათიანის** გაწვრთნილი საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები კარგავს, რომელმაც თელავში 2 სპარინგი გამართა ლიბანის გუნდთან.

პირველი დაძაბული შეხვედრის ბედი **ვახტანგ კეკელიას** გოლმა გადაწყვიტა – 1:0, მეორე ბრძოლა კი 2:1 მოვიგეთ.



# ფინალში და ფინალთან

**ჩინეთის ქალაქ შენჟენში გრან პრის სერიის მესამე ეტაპზე უკვე გათამაშდა მედლების სამი კომპლექტი. სპორტულ წყვილებში ჯამური 198.27 ქულით მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა საქართველოს ნაკრების წევრების ლუკა გერულავასა და ანასტასია მეტელკინას დუეტი, რომელმაც ორი ეტაპის საერთო სარეიტინგო 28-ქულიანი მაჩვენებლით გაიანაღდა გრან პრის სერიის ფინალური ეტაპის საგზური.**

ასევე, 193.54 ქულით მეორე ადგილის და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ჩვენი მოცეკვავე წყვილი **დიანა დევისი** და **გლებ სმოლკინი**, რომლებიც სარეიტინგო 26 ქულით ინარჩუნებენ მაღალ შანსებს გრან პრის ფინალის საგზურის მოსაპოვებლად.

# კანადა – ადვილად...

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის მეოთხე ტურში კანადას უმასპინძლა, რომელიც დამაჯერებლად დაამარცხა და ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა.**

**პიერ-ანრი ბრონკანის** გუნდი სწრაფად დაწინაურა პაპუნაშვილის ლელოთი, რასაც სტუმრებმა გარდასახული ლელოთი უპასუხეს და წინ გავიდნენ. შემდეგ იყო ტაბუცაძის ლელო და ისევ სტუმართა აქტიურობა – ლელო და გარდასახვა. თუმცა, საქართველოს ნაკრებმა პირველი ტაიმის ბოლო 10 წუთი მაღალ დონეზე ჩაატარა – ნინიაშვილმა და ტაბუცაძემ ორი ლელო გაიტანეს, ორივე მატკავამ გარდასახა და ტაიმი საქართველომ 24:14 მოიგო.

მეორე ნახევარში კი „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს, საბოლოოდ, საქართველოს გუნდმა მეტოქეს პირწმინდად, 59:14 აჯობა და გამარჯვება მოიპოვა. საქართველოს ნაკრები ჯგუფში 4 მოგებით და 19 ქულით ლიდერია და მომდევნო ტურში 14 ნოემბერს, თბილისში, ტონგას ნაკრებს უმასპინძლებს.





# ფავორიტის სტატუსით

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სერგეთის დედაქალაქ ბელგრადში 12 მეტოქესთან ძლევამოსილად გასამკლავებლად მთავარ ფავორიტად გაემგზავრა, რადგან მანამდე ევროპის გუნდური ჩემპიონატი ზედიზედ 3-ჯერ ჰქონდა მოგებული: 2021 წელს – რუსეთში, 2023 წელს – პოლონეთში და შარშან – მონტენეგროში.**

ამჯერად ჯვაროსანთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ლაშა შავდათუაშვილი, თენგო ზირაქაშვილი (73 კგ) ლუკა მაისურაძე, ლუკა ჯავახიშვილი (90 კგ), ირაკლი დემეტრაშვილი, გურამ თუშიშვილი (100 კგ), ეთერ ლიპარტელიანი, ნინო ლოლაძე (57კგ), ნინო გულბანი (70 კგ) და სოფიო სომხიშვილი (მძიმე წონა).

სამწუხაროდ, ნავსი ჩვენთვის არასასურველად გატყდა, რადგან ფინალი რუსეთთან 1:4 დავთმეთ ისიც სათქმელია, რომ მეტროქეს 1 ქულა უბრძოლველად ვაჩუქეთ, რადგან სომხიშვილმა ტრავმის გამო ტატამზე გასვლა ვერ შეძლო.

# საერთაშორისო თაღლითურ ქოლცენტრებს 7 კრიმინალი მოაშორეს!



**ევროპოლისა და ევროჯასტის მხარდაჭერით ჩატარებული ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ოპერაციის შედეგად გამოვლინდა საინვესტიციო თაღლითობის ქსელი, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ კრიმინალურ ჯგუფებს ყალბი სავაჭრო პლატფორმების ტექნიკურ ინფრასტრუქტურას აწვდიდა.**

ოპერაცია გერმანიის ქალაქ იტცჰოეს პროკურატურის ხელმძღვანელობით ჩატარდა. სამართალდამცველებმა 17 ლოკაციაზე ჩხრეკა ჩაატარეს, ამოიღეს 100-ზე მეტი სერვერი, კომპიუტერული ტექნიკა, სხვა ციფრული მტკიცებულებები და აქტივები. დაკავებულია შვიდი ეჭვმიტანილი, რომელთა გერმანიაში ექსტრადიციის საკითხი განიხილება. გამოძიების ინფორმაციით, თაღლითური პლატფორმების ტექნიკური უზრუნველყოფით დაკავებული კომპანია კვიპროსსა და ისრაელში მოქმედებდა. მისი მომსახურებით სარგებლობდნენ კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც ალბანეთში, კოსოვოსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში თაღლითურ სატელეფონო ცენტრებს მართავდნენ.

დამნაშავეები პოტენციურ მსხვერპლებს კრიპტოვალუტაში, უცხოურ ვალუტასა და აქციებში ინვესტირების გზით სწრაფ და მაღალ მოგებას ჰპირდებოდნენ. ერთი შეხედვით ლეგიტიმური სავაჭრო პლატფორმების საშუალებით მათ ყალბ მოგებას აჩვენებდნენ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ, რათა მსხვერპლებს დამატებითი თანხები ჩაერიცხათ.

**გამოძიებამ ასევე გამოავლინა პერსონალური მონაცემების უკანონო გამოყენების სავარაუდო სქემა. თაღლითური ონლაინ რეკლამებით მოპოვებული მონაცემები კრიმინალურ ჯგუფებს გადაეცემოდათ, რის შემდეგაც სატელეფონო ცენტრების თანამშრომლები მოქალაქეებს უკავშირდებოდნენ და საინვესტიციო შეთავაზებებით მათ მოტყუებას ცდილობდნენ.**

**გამომძიებლების შეფასებით, დანაშაულებრივი საქმიანობით მიყენებული ფინანსური ზარალი 4 მილიონ ევროს აღემატება, ხოლო პოტენციური მსხვერპლი სულ მცირე 50 ქვეყანაში იმყოფება.**

გამოძიება ოთხ წელზე მეტხანს მიმდინარეობდა. მის ფარგლებში 2022 და 2025 წლებში ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მოპოვებულმა მტკიცებულებებმა სამართალდამცველები სავარაუდო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მიმწოდებელ კომპანიამდე მიიყვანა.

**სამართალდამცავი უწყებების ცნობით, ოპერაცია საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა და მიზნად ისახავდა არა მხოლოდ უშუალოდ თაღლითური სატელეფონო ცენტრების, არამედ მათი ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის ქსელის გამოვლენას.**

სულთათანა

# ნუნუ დუღაშვილი



**საქართველოს კულტურის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და მომღერლის ნუნუ დუღაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.**

**„ნუნუ დუღაშვილის შემოქმედება ქართული მუსიკალური კულტურის განუყოფელი ნაწილია. მრავალწლიანი და ნაყოფიერი საქმიანობით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში. მისი სიმღერები დღემდე პოპულარობით სარგებლობს და მსმენელთა განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებს“,** – ნათქვამია სამძიმრის წერილში.

დიდი კომპოზიტორის ოჯახსა და ქართველ საზოგადოებას გულწრფელად მიუსამძიმრეს საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა,** პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ,** პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ,** მთავრობის წევრებმა და პარლამენტარებმა.

# კრაკოვში მომხდარ თავდასხმაში ეჭვმიტანილის საცხოვრებელ სახლში სამი ადამიანის, სავარაუდოდ, მისივე ოჯახის წევრების ცხედრები ი პოვეს




**პოლონეთის პრემიერ-მინისტრის დონალდ ტუსკის განცხადებით ქალაქ კრაკოვში მომხდარ თავდასხმაში ეჭვმიტანილის საცხოვრებელ სახლში ორი ქალისა და ერთი მამაკაცის ცხედრები ი პოვეს.**

მისივე თქმით, თავდამსხმელის საცხოვრებლის დასათვალიერებლად დრონი გამოიყენეს. როგორც ტუსკმა აღნიშნა, სახლში შესაძლოა დიდი რაოდენობით იარაღი იყოს.

**„დადასტურებული ინფორმაცია გვაქვს, დამნაშავის საცხოვრებელ სახლში ორი ქალი და ერთი მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. ეს მართლაც მძიმე ტრაგედიაა. არსებობს ძლიერი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ისინი მისი ოჯახის უახლოესი წევრები იყვნენ“...**

საცხოვრებელი კორპუსიდან, სადაც თავდამსხმელი ცხოვრობდა, მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა. შენობაში კონტრტერორისტული დანაყოფის თანამშრომლები შევიდნენ.

# მეგან მარკლის 82 წლის მამა ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობის ბრალდებით დააკავეს

**სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის 82 წლის მამა, თომას მარკლი უფროსი, აშშ-ის ფლორიდის შტატში დააკავეს. გამოცემა New York Post-ის ინფორმაციით, მის მიმართ არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალების უკანონო ფლობაში ეჭვობენ. მამაკაცი დაკავების მომენტში ხანდაზმულთათვის განკუთვნილ სპეციალიზებულ დაწესებულებაში იმყოფებოდა.**

გამოცემის წყაროების ცნობით, საქმეს აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI) იძიებს. სავარაუდოდ, აკრძალული მასალები თომას მარკლის პირად ნივთებს შორის ორ ქვეყანაში აღმოაჩინეს – ფილიპინებში, სადაც ის ადრე ცხოვრობდა და მექსიკაში, სადაც პირადი ნივთების შესანახად სათავსი ჰქონდა დაქირავებული.

**საქმის შესახებ სამართალდამცველებისთვის თომას მარკლის ვაჟის, თომას უმცროსის განცხადების შემდეგ გახდა ცნობილი. მისი თქმით, მან ჯერ კიდევ ზაფხულში მამის ნივთებს შორის საეჭვო მასალები აღმოაჩინა და პოლიციას მიმართა. მოგვიანებით, Daily Mail-ის ჟურნალისტებმა მექსიკის ქალაქ როსარიტოში მდებარე საწყობში ახალი მასალების აღმოჩენის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია და ამის თაობაზე FBI-საც აცნობეს.**

გამოძიება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარეობს. ფილიპინების პოლიციამ მანამდე დაადასტურა, რომ ამოღებულ ელექტრონულ მოწყობილობებში არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალები აღმოაჩინეს. თუმცა გამომძიებლებმა ჯერ კიდევ უნდა დაადგინონ, ვის ეკუთვნოდა აღნიშნული ფაილები და ვინ არის პასუხისმგებელი მათ არსებობაზე.

**თავად თომას მარკლი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. Daily Mail-თან საუბარში მან ეჭვები სიცრუედ შეაფასა და განაცხადა, რომ მსგავსი მასალები არასოდეს ჩამოუტვირთავს. ამ დროისთვის არ არსებობს ინფორმაცია, რომ სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო.**

მომხდარს გამოეხმაურა მეგან მარკლიც. ჰერცოგინიამ განაცხადა, რომ გავრცელებულმა ცნობებმა ის ღრმად შეძრა. მან შეშფოთება გამოთქვა იმ ბავშვების ბედის გამო, რომლებიც შესაძლოა დაზარალებულიყვნენ, და იმედი გამოთქვა, რომ საქმის ყველა გარემოება საფუძვლიანად იქნება გამოძიებული.

**„პრაიმტაიმი“**





# სროლის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი ექვსამდე გაიზარდა

**პოლონეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ კრაკოვის მთავარ მოედანზე სროლის შედეგად დაღუპულთა რიცხვი გაიზარდა – ბოლო მონაცემებით, ოთხი ქალი და ორი კაცი დაიღუპა. პოლიციამ ეჭვმიტანილი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და დააკავა,** – იუწყება Reuters.


თავდასხმის შედეგად კიდევ 16 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ორი პოლიციელი, რომლებიც ეჭვმიტანილთან მომხდარი სროლის დროს დაიჭრნენ. ერთერთი პოლიციელის მდგომარეობა მძიმეა. სამართალდამცველების ინფორმაციით, თავდამსხმელს სამხედრო სტილის ტანსაცმელი ეცვა და სამხედრო დანიშნულების იარაღი ჰქონდა. სავარაუდო თავდამსხმელი პოლონეთის 24 წლის მოქალაქეა.

**„ინციდენტის ერთადერთი ცნობილი ჩამდენი პოლიციის პატიმრობაში იმყოფება“,** – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში. სროლის მოტივზე სამართალდამცველებს ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ.

# ორმაგი ტრაგედია მარნეულში

**მამის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ქალიშვილიც მალევე დაიღუპა. მარნეულში მამა და ქალიშვილი მცირე დროის ინტერვალით გარდაიცვალნენ. გავრცელებული ინფორმაციით, 50 წლამდე ასაკის მამაკაცი სამუშაო ადგილზე მოულოდნელად შეუძლოდ გახდა და გულის შეტევით გარდაიცვალა.**


ადგილობრივი მედიის ცნობით, მამის გარდაცვალების ამბის გაგების შემდეგ მისი ქალიშვილიც მოულოდნელად შეუძლოდ გახდა და მალევე გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალიშვილის გარდაცვალებას წინ მამის დაღუპვით გამოწვეული ძლიერი ემოციური სტრესი უძღოდა. მისი გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ამ ეტაპზე ოფიციალურად დადასტურებული არ არის.



# უფლის გარდამოხსნის განადგურებული ტილო აღდგენილია

**ხელოვნების სასახლეს კიდევ ერთი საინტერესო ისტორიული სამუშაო შეემატა.**

უფლის გარდამოხსნის განადგურებული ტილო, რომელიც ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელმა **გიორგი კალანდიამ** ზუგდიდის დადიანების სასახლიდან თბილისში წამოიღო, რესტავრატორმა ნუცა ადეიშვილმა აღადგინა.



**„წელიწადნახევრის წინ ზუგდიდის დადიანების სასახლეში ნაპოვნი ეს ფაქტიურად განადგურებული ტილო რომ წამოვიღე, არავის სჯეროდა, რომ მის გადარჩენას შევძლებდით, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი სარესტავრაციო ლაბორატორიის ჯადოქრობები აუცილებლად იმუშავებდა! „გარდამოხსნა“ ზუგდიდიდან რესტავრაციამდე და შემდეგ. რესტავრატორი ნუცა ადეიშვილი. ხელოვნების სასახლის სარესტავრაციო ლაბორატორია,** – წერს ხელოვნების სასახლის დირექტორი **გიორგი კალანდია.**

# FDA-მ B ჰეპატიტის პირველი პრეპარატი დაამტკიცა

**აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაციამ (FDA) ქრონიკული B ჰეპატიტის სამკურნალოდ კომპანია GSK-ის ინოვაციური პრეპარატი – ბეპიროვირსენი (ბრენდული სახელწოდებით Hibsago) დაამტკიცა.**




ავტორიტეტულ სამედიცინო ჟურნალ New England Journal of Medicine-ში გამოქვეყნებულმა III ფაზის კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ პრეპარატს შეუძლია რევოლუცია მოახდინოს დაავადების მკურნალობაში, რომელიც მსოფლიოში ღვიძლის კიბოს შემთხვევების 56%-ზეა პასუხისმგებელი.

ფუნქციური განკურნება: არსებული მედიკამენტებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ვირუსის მართვას ახდენენ (და პაციენტებს აბების სამუდამოდ მიღება უწევთ), Hibsago სისხლში ვირუსს იმ დონემდე თრგუნავს, რომ მისი დაფიქსირება შეუძლებელი ხდება.

**შთამბეჭდავი შედეგი: 6-თვიანი კურსის შემდეგ, 1220 პაციენტიდან 233-ში (19%) მიღწეულ იქნა სრული ფუნქციური განკურნება – ვირუსი აღარ ფიქსირდებოდა მკურნალობის შეწყვეტიდან 24 კვირის შემდეგაც კი.**

მოსახერხებელი ფორმა: **პრეპარატი ყოველკვირეული ინიექციის სახით კეთდება, რომლის გაკეთებაც პაციენტებს პირველი დოზის შემდეგ სახლის პირობებში, დამოუკიდებლადაც შეუძლიათ.**

წინასწარი დიაგნოსტიკა: **მკურნალობის დაწყებამდე შესაძლებელია იმ პაციენტთა იდენტიფიცირება (ვირუსული ცილის დაბალი დონით), რომლებშიც პრეპარატის ეფექტიანობა ყველაზე მაღალი იქნება.**

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ პრეპარატი გარკვეულ გვერდით ეფექტებსაც (მათ შორის ღვიძლის ფერმენტების ცვლილებას) იწვევს და სისხლის რეგულარულ ანალიზს საჭიროებს, თუმცა ის ქრონიკული B ჰეპატიტის მართვაში სრულიად ახალი ეპოქის დასაწყისია!

# „ქართული და ევროპული ძველი მუსიკა“ რუსთაველის ეროვნულ თეატრში


**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის ეროვნულ თეატრში, „თბილისის გაროკპო ფესტივალის“ ფარგლებში, კონცერტი „ქართული და ევროპული ძველი მუსიკა“ გაიმართა.**

ღირსშესანიშნავია საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს მიეძღვნა. **საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ანტონიო ვივალდისა და იან დისმას ზელენკას ნაწარმოებები, ასევე ქართული ტრადიციული სიმღერები და საგალობლები.** კონცერტი „ქართული და ევროპული ძველი მუსიკა“ ქართული ფოლკლორისა და ევროპული მუსიკის სინთეზია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული მრავალხმიანობის უნიკალურობას, რომელიც მსოფლიო მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია.



# რობერტ სტურუას (უფროსი) – წიგნი-ალბომის წარდგენა ეროვნულ გალერეაში

**10 ნოემბერს, 15:00 საათზე, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში წიგნი-ალბომის – „რობერტ სტურუა (უფროსი)“ პრეზენტაცია გაიმართება.**




ეროვნული მუზეუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია: „მხატვარ რობერტ სტურუას დაბადებიდან 110 წლისთავის აღსანიშნავად, ქართულ საზოგადოებას გვსურს შევახსენოთ ის დიდი ღვაწლი, რომელიც ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარებაში მიუძღვის ამ უაღრესად პროდუქტიულ, საკუთარი გამორჩეული ხელწერის მქონე შემოქმედს, და, შეძლებისდაგვარად, წარმოვაჩინოთ მამა-შვილის სააზროვნო სივრცის შეხების წერტილები“.

რობერტ სტურუა (უფროსი) (1916-1982) – ქართველი ფერმწერი, მონუმენტალისტი, საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი მონუმენტურ მხატვრობას, პორტრეტებს და წიგნის გრაფიკას უკავშირდება. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. გარდაიცვალა 1982 წლის 21 იანვარს თბილისში.


წიგნი-ალბომი გამოიცა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით.

# სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლ „შერისხულნის“ პრემიერა შედგა

**სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლ „შერისხულნის“ პრემიერა შედგა.**

ინსცენირება დავით კლდიაშვილის ორ მოთხრობას „მრევლში“ და „შერისხვას“ ეფუძნება.

სპექტაკლი კულტურის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს“ მხარდაჭერით გაიმართა.



საქართველოს რესპუბლიკა

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგვგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 711057

მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 12 ნოემბერს